# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 24 ოქტომბერი, 2015 წელი.

№200 (7845)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


## ირაკლი ღარიბაშვილი – 78!, გიორგი მარგველაშვილი – 22!

2

## სასამართლო გადაწყვეტილება სამართლიანი უნდა იყოს

## როცა პრემიერსა და მოსამართლეს თითს უქნევენ!



„რას ჰქვია არ მიიღოს ხისტი გადაწყვეტილება?! იცის მარგველაშვილმა, რა გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე?!“

4

⊙ მე – კი, შენ – არა...

## ცრუსთავი-2-ს მარტო სხვათა ღვარძლიანი კრიტიკა უყვარს...



„ცრუსთავი-2“ მთელი 24 საათი ხმის ჩახრინწვამდე გაჰყვირის ქვეყნისთვის თავისუფალი სიტყვისა და პლურალიზმის უებარი წამალივით საჭიროებაზე და თვითონ ყველაზე მეტად ებრძვის თავისუფალ სიტყვასაც და პლურალიზმსაც. აბა, სხვანაირად რით ავხსნათ დილას ქართული პრესის მიმოხილვიდან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გაქრობა. ეს მაშინ, როცა ჩვენი გაზეთი ამ ბოლო დროს თითქმის ყოველ ნომერში წერს „ცრუსთავი-2“-ის მხრიდან სასამართლოზე ყოვლად წარმოუდგენელ, გაუმართლებელ ზეწოლაზე. როგორც ჩანს, შუმი ნაციონალი გვარამიას ერთპარტიული იდეოლოგიით მკვეთრად გაჯერებულ ლაშქარს მხოლოდ სხვათა მიკერძოებული, ამჟამინდელი ხელისუფლების დამხობის სურვილით გამსჭვალული კრიტიკა აძლევს ხელს და თავის მიმართ გამოთქმულ მართლაც მიუკერძოებელ კრიტიკას ვერავისგან ვერ იტანს.

ეს კი ცხადსა ხდის ყველა საღი აზრის მქონე ადამიანის თვალში „ცრუსთავი-2“-ის ქვეყნის საბედისწეროდ არევის აშკარად მავნე ერთპარტიულ (ნაციონალურ) სულისკვეთებას.

## ვაჟა ბერიძე: გარე ძალების ჩარევის გარეშე საქართველოში დესტაბილიზაცია გამორიცხულია



3

## ირაკლი სესიაშვილი: ნიკა გვარამია სააკაშვილის პაიკია



5

## ბოლომდე ვიბრძოლებ „მაესტროს“ გადასარჩენად



3

## სასამართლომ 17 მაისის საქმეზე ბრალდებულები გაამართლა

## ეჭვების მოსახსნელად ხელისუფლებისთვის უმჯობესი იქნებოდა „გაზპრომთან“ ურთიერთობები რაც შეიძლება გამჭვირვალე გამხდარიყო

8



## „მწვანე დღეები საქართველოში“ ეროვნული ბოტანიკური ბაღი ფრანგ პრინცესას სტუმრობს

12

**გურამ ჭავჭანიძე**

## მართალს ვიტყვი



არც კი არის დასაჯერი,
მიტომ მიჭირს დასაჯერად,
კაცი, თვითონ დასაჭერი,
სხვებს რომ დასდევს დასაჭერად.

7

# უნგრელ კოლეგას ქვეყნის რევოლუციის 59-ე წლისთავი მიულოცა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს უნგრეთის რევოლუციის 59-ე წლისთავს ულოცავს და უნგრელ ხალხს წარმატებასა და მშვიდობას უსურვებს.**

„საქართველოს მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, გულწრფელად გილოცავთ თქვენ და უნგრელ ხალხს 1956 წლის უნგრეთის რევოლუციის 59-ე წლისთავს, რომელმაც ცხადყო უნგრელი ხალხის ერთგულება თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო უნგრეთისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობა. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი. გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენივე ქვეყნების სასიკეთოდ. გისურვებთ თქვენ და მეგობარ უნგრელ ხალხს წარმატებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას," — ნათქვამია მისალოც წერილში.

# სასამართლო გადაწყვეტილება სამართლიანი უნდა იყოს

**ვიცე-პრემიერი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „რუსთავი-2"-ის საკითხთან დაკავშირებით ოთხ ასპექტს გამოყოფს.**

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, პირველი არის ის ფაქტი, რაც იხილა — ქუჩაში შელაპარაკებები, კერძოდ, კი ბიზნესმენ გიორგი კოდუასთან ახალგაზრდების ჯგუფის შელაპარაკება.

„მინდა, ვთხოვო ყველას, მო-



ვუწოდო კიდეც, მაქსიმალურად თავი შევიკავოთ ემოციების ქუჩაში გადატანისგან, ვინაიდან ამას შეიძლება მძიმე შედეგი მოყვეს. ასევე მინდა ვთხოვო და, დარწმუნებული ვარ, რომ სამართალდამცველებს ექნებათ რეაგირება ასეთ შემთხვევებზე. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი", — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის არის აბსოლუტურად მიუღებელი ძალადობის კადრების ტირაჟირება.

„ეს არის დაბრუნება იმ საშინელ წარსულში, რომელიც საქართველომ გაიარა. ეს ფურცელი უნდა გადაიშალოს ერთხელ და სამუდამოდ. არ ვიცი, ვინ აკეთებს ამას, ეს ნამდვილად არ შედის მთავრობის ინტერესში და ვინც აკეთებს, არ აქვს მნიშვნელობა, სად არის, სად მუშაობს, რომელი გუნდის თუ მიმართულების წევრია. ეს არის ადამიანების ფსიქიკის დანგრევა. ახალგაზრდებს შეიძლება, ცხოვრება დავუმახინჯოთ მარტო იმითი, რომ ეს უბედურება ვაჩვენოთ, რაც გაიარა საქართველოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა. ამიტომ კატეგორიულად ვემიჯნები, მითუმეტეს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მასშტაბით ასეთი კადრების ჩვენებას", — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მესამე საკითხი, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეხება მედიის თავისუფლებას და მისი თქმით, ეს არის უმნიშვნელოვანესი ფასეულობა, რომელზეც ნებისმიერი მთავრობა უნდა იდგეს.

„ჩვენი მთავრობა ამ ფასეულობაზე ნამდვილად დგას, ამიტომ მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ არც ერთი სატელევიზიო თუ მედიაკომპანიის მაუწყებლობის პოლიტიკაში ჩარევა არ მოხდეს და არ ხდება ასეთი რამ. არ ვიცი, ვინ იქნება ამ პროცესის გამარჯვებული, ნამდვილად არ ვარ იურიდიული დეტალების საქმის კურსში, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, მე ვფიქრობ, რომ გაცილებით ნაკლები ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას, თუნდაც ყველაზე არაობიექტურმა სამაუწყებლო სარედაქციო პოლიტიკამ, ვიდრე იმან, რომ ეჭვი გაჩნდეს ჩვენს მეგობრებსა და პარტნიორებში ქვეყანაში მედიათავისუფლებასთან დაკავშირებით", — განაცხადა კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება მეოთხე საკითხს, მინისტრმა „რუსთავი-2"-ს და ყველა იმ ადამიანს მიმართა, ვინც შეიძლება, საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგეს.

„მინდა, „რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობასაც და ყველა იმ ადამიანს მოვუწოდო, ვინც საააწინააღმდეგო პოზიციაზე დგას, ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანამ უნდა გადააბიჯოს იმ ზღვარს , რომ სასამართლო გადაწყვეტილება, მოგწონს ეს თუ არა მოგწონს იგი, მისაღები იქნება ყველასთვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს დგას ეს ადამიანი", — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, სასამართლომაც უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ ჩვენს პარტნიორებსა და მეგობრებში არც ერთი კითხვის ნიშანი არ დარჩეს ამ მიმართულებით, თუნდაც ამისთვის დამატებითი ლეგიტიმაციის ელემენტები გახდეს საჭირო.

## ◎ კითხვა პასუხს მოითხოვს

# ვის გვერდით დგას პრეზიდენტი?

ᲐᲦᲡᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ და დასაგმობია პრეზიდენტ მარგველაშვილის საჯარო გამოხდომა, რომელმაც მოსამართლეს ხისტი და ნაჩქარევი განაჩენის გამოტანისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. ეს საჯარო მოწოდება სასამართლოზე ზეწოლის უმაღლესი გამოვლენაა. შემდეგ ესეც არ იკმარა — შეკრიბა სახელმწიფოს ძირგამომთხრელი არასამთავრობოები და ეგრეთ წოდებული ოპოზიციური პარტიები, რათა მხარი დაეჭირათ სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიისთვის. პრეზიდენტი მარგველაშვილი მოსამართლის ფუნქციაში უხეშად ჩაერია. სხვა არაფერს ნიშნავს მისი მკაცრი მოწოდება „თავის შეკავება ხისტი და ნაჩქარევი განაჩენისგან", ესეც არ იკმარა — შეკრიბა ეგრეთ წოდებული სახელმწიფოს ძირგამომთხრელი არასამთავრობოები და სააკაშვილის სატელიტი პარტიები, რომელთა მიზანია ქვეყანაში არეულობის მოხდენა და ამ გზით ხელისუფლებაში დაბრუნება.

სამშობლო განსაცდელშია, ცრუ და მანჭია პრეზიდენტი კი აშკარად სამშობლოს მტრების მხარეზე გადავიდა.

**ᲝᲜᲘᲡᲔ ᲛᲬᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## ◎ ა, ბატონო, ხალხის ხმა!

# ირაკლი ღარიბაშვილი - 78 პროცენტი, გიორგი მარგველაშვილი - 22!

ᲕᲘᲓᲠᲔ ტელეკომპანია „მაესტროს" 22 ოქტომბრის საღამოს ეთერში არამზადა, თავხედი, უზრდელი ნაციონალები დეფი გოგიბედაშვილი, გიორგი ტუღუში, ნუგზარ წიკლაური დღევანდელ ხელისუფლებას და გამორჩეულად ბიძინა ივანიშვილს ლანძღავდნენ, ეკრანზე ფრიად დამაინტრიგებელი ინტერაქტიული შეკითხვა „იჯდა": **ვინ უფრო სწორად აფასებს არსებულ სიტუაციას? — პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი?**




დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში „მაესტროს" საღამოს სტუდიას 5000-ზე მეტი ადამიანი, რიგითი მაყურებელი შეეხმიანა.

ნაცისტების და, როგორც ჩანს, იმათი ანტიეროვნული ამქრის ფარული წევრის, პრეზიდენტ მარგველაშვილის გულის გასახეთქად, გამოკითხულთა 78-მა პროცენტმა პრემიერ ღარიბაშვილის გულწრფელ, პრინციპულ შეფასებას დაუჭირა მხარი. ქამელეონი პრეზიდენტის მომხრე კი მხოლოდ 22 პროცენტი იყო!

ეს სახელდახელო, ცხელ გულზე ჩატარებული გამოკითხვა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის გულისთქმას, რომ ბრალდებული, თაღლითი, პოლტიკური მანიაკი მიხეილ სააკაშვილი და მისი სიცრუის კანტორა (პანდორას ყუთი) „ცრუსთავი-2" ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია მათთვის და... ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, ნაცებისგან და ამ ნაცების ხელისუფლებაში მომყვანი „ცრუსთავისგან" განაწამები მოსახლეობის 78-80 პროცენტი ისევ „ქართულ ოცნებას" და ნაციონალური ჭირისაგან ქვეყნის დამხსნელ ბიძინა ივანიშვილს მისცემს ხმას.

**ᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲣᲠᲗᲛᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲐᲓ ᲕᲬᲔᲠᲗ, ᲠᲝᲛ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2"-ᲘᲡ ᲜᲐᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲐᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲜᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲣᲭᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲥᲐᲠᲐᲡ ᲧᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲗᲮᲝᲕᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ, ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲡ...**

**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ**

# გვარამია, როგორც ყოველთვის, კვლავ ცრუობს

**ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ალექსი ახვლედიანის განცხადებით, 24 აგვისტოს შემდეგ არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში არ ყოფილა, — ამის შესახებ ალექსი ახვლედიანმა ჟურნალისტებს მთავარ პროკურატურაში შესვლამდე განუცხადა.**

მისი თქმით, ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს 24 აგვისტოს შეხვდა. „რაც შეეხება სამთავრობო მესიჯებს, ზუსტად შემიძლია დაგისახელოთ დღე. შეგიძლიათ გადაამოწმოთ. მე ამ სიტყვებზე პასუხს ვაგებ. 24 აგვისტოს შევხვდი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, სადაც გადავუხადე მადლობა იმ თანადგომისთვის, რაც მან გამოიჩინა, რომ ჩვენ მივიღეთ უმაღლესი შეფასება ფესტივალის ჩატარებაზე. ასევე მან გადამიხადა მადლობა როგორც მე, ისევე მთელს ჩემს კოლექტივს. ჩვენ დავემშვიდობეთ. ამის შემდგომ არამც თუ ირაკლი ღარიბაშვილთან, არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში არ ვყოფილვარ", — განაცხადა ალექსი ახვლედიანმა.

რაც შეეხება ნიკა გვარამიას მიერ დასახელებულ 2013 წლის ბოლოს გამართულ შეხვედრას, ალექსი ახვლედიანი აღნიშნულ შეხვედრას ვერ იხსენებს. „ეს მე პირველად გავიგე, თან ნიკა ბრძანებს, რომ არსებობს ჩანაწერები. მე ამ შეხვედრას ვერ ვიხსენებ და დარწმუნებული ვარ, რომ მე ამ შეხვედრაზე არ ვყოფილვარ", — განაცხადა ალექსი ახვლედიანმა.

## ◎ გვწერენ

# დაუბრუნეთ თბილისს საკუთარი მეისტორიე გაზეთი!

## მიმართვა ჩვენი დედაქალაქის მესვეურთ!

**ქალაქს უხდება დღესასწაული, თბილისს უხდება შემოდგომის ჟამს საზეიმო განწყობა. თბილისს შვენის ნაირფერად მორთული და ტკბილხმოვანი ძველი უბანი, მაგრამ...**

ამ ბოლოხანს მოზეიმე თბილისსა და თბილისელებს, მოლხენილ ერსა თუ ბერს დააკლდა მნიშვნელოვანი რამ — თავისი ჟამთააღმწერელი მეისტორიე...

თბილისს ჰყავს მერი, საკრებულო, საპატიო და ჩვეულებრივი მოქალაქენი, აქვს ჩინებული მხატვრის, ბურჯანაძისეული გერბი, დროშა, გასაღები; მას აქვს ჩინებული ლაღიძისეული ოდა, მაგრამ...

თბილისს უგალობდნენ პოეტები, მოგზაური კალმოსნებიც... ის ევროპა-აზიის გზის გასაყარზე წამომართული მშვენიერი და კოპწია ქალაქი ციხე-კოშკი გახლდათ, საუკუნეთა მანძილზე ღირსეულად რომ ატარებდა კავკასიის ცენტრის სახელს. მას შვენის დედაქალაქის სტატუსი, რადგანაც თავიდანვე იშვა — დედაქალაქად და... მას არა აქვს საკუთარი მეისტორიე გაზეთი — „თბილისი", რომელმაც უახლეს საუკუნეთა მიჯნაზე, ძნელბედობის ჟამს შეინარჩუნა აკადემიურობა და არ აჰყვა ყვითელი პრესის ცდუნებას. ამჟამინდელი ინფორმაციის ბუმის ეპოქაში, როცა ჩვენში ასე მომძლავრდა ელექტრონული მედიის ზღვარდაუდები ბოლმა და ღვარძლი, თბილისს არ გააჩნია საკუთარი ფარი — პირუთვნელი მეისტორიე. საზეიმო დღეებში ამ სიმძიმილმა, ამ დანაკლისმა განსაკუთრებულად იმძლავრა...

ყოფილმა მერმა „უთბილისოდ" დატოვა დედაქალაქი. ის ასეც შევა თბილისის ისტორიაში. იმედი მაქვს ამჟამინდელი მერი დაუბრუნებს სატახტო ქალაქს თავის ჟამთააღმწერელ გაზეთს.

საქართველოს მთავარი ქალაქი აღმშენებელმა თაობამ შექმნა დედაქალაქად, მას ეტრფოდნენ და უგალობდნენ, იცავდნენ და უფრთხილდებოდნენ, ის ფერფლიდან აღადგინეს, მას იცავდა დავით აღმაშენებლის თაობაც და...

ბატონო დავით! თქვენ აღმაშენებელი მეფის სეხნია ბრძანდებით, ნუ გაგვიცრუებთ იმედს! დაუბრუნეთ დედაქალაქს თავისი ჟამთააღმწერელი მეისტორიე გაზეთი „თბილისი". თქვენ ასეც შეხვალთ თბილისის ისტორიაში.

**პატივისცემით,**
**ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ**



# ვაჟა ბერიძე: გარე ძალების ჩარევის გარეშე საქართველოში დესტაბილიზაცია გამორიცხულია

**მოახერხა თუ არა „რუსთავი-2"-მა პოლიტიკოსების ჩათრევა პროცესში და ვისთვის არის მოვლენათა ამგვარი განვითარება ხელსაყრელი, ამ თემაზე ექსპერტი ვაჟა ბერიძე გვესაუბრება:**

— როგორც ჩანს, სასამართლო სისტემის რეფორმირებით რომ ამაყობდა ნაციონალური მოძრაობა, არც ისე შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან მათი მხრიდანაც კი ნულოვანია სასამართლოს მიმართ ნდობა. თუ ამ სასამართლოს არ მივცემთ დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას, ის სრულყოფილ სტრუქტურად ვერასდროს ჩამოყალიბდება.

ბუნებრივია, საქმე გვაქვს ორი სუბიექტის სამართლებრივ დაპირისპირებასთან. შესაძლოა, ხელისუფლებასაც აქვს ამ საქმის მიმართ გარკვეული ინტერესი. მეორე მხრივ, ეს არ არის ორდინარული სიტუაცია — როდესაც ვამბობთ რომ „რუსთავი-2" დამოუკიდებელია, ის მართლაც დამოუკიდებელია ხელისუფლებისგან, მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ, ექვემდებარება ჩვენი მეზობელი ქვეყნის, ერთ-ერთი რეგიონის, ოდესის გუბერნატორს, რომელიც ასევე, ხელმძღვანელობს საქართველოში მთავარ ოპოზიციურ პარტიას. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს.

**— ჯერ აცალონ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება, შემდეგ შეიძლება მისი გასაჩივრება, არსებობს საერთაშორისო სასამართლოც და ამ გზით შესაძლებელია ჭეშმარიტების დადგენა.**

— ეს საქმე უკვე გასცდა ჩვეულებრივ ჩარჩოებს და არის მცდელობა დესტაბილიზაციისკენ მიმართულ პოლიტიკურ პროცესად გადაიქცეს. არასტაბილური სიტუაციის შექმნას, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელს უწყობს პრეზიდენტი, რომელიც აწარმოებს კონსულტაციებს 1 და 2-პროცენტიან ოპოზიციურ პარტიებთან. ამიტომ, როგორც ხელისუფლების მხრიდან უნდა შეწყდეს ზეწოლა, ასევე უნდა დასრულდეს მანიპულირება მეორე მხარისგანაც, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება მშვიდობიანი პროცესის შედეგად და ქმნის ისეთ ექსტრემალურ ვითარებას, რომელიც საშუალებას მისცემს, გაიმეოროს 2003 წლის პრეცედენტი — როდესაც ამბოხების და, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო გადატრიალების გზით დაიკანონა ხელისუფლება.

**საქმე გვაქვს ორი სუბიექტის სამართლებრივ დაპირისპირებასთან. შესაძლოა, ხელისუფლებასაც აქვს ამ საქმის მიმართ გარკვეული ინტერესი. მეორე მხრივ, ეს არ არის ორდინარული სიტუაცია — როდესაც ვამბობთ რომ „რუსთავი-2" დამოუკიდებელია, ის მართლაც დამოუკიდებელია ხელისუფლებისგან, მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ, ექვემდებარება ჩვენი მეზობელი ქვეყნის, ერთ-ერთი რეგიონის, ოდესის გუბერნატორს, რომელიც ასევე, ხელმძღვანელობს საქართველოში მთავარ ოპოზიციურ პარტიას. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს.**

ამიტომ ვთვლი, რომ ყველა მხარე, ვინც კი ამ პროცესში მონაწილეობს, არასწორად იქცევა, ვგულისხმობ პოლიტიკურ ძალებს.

**— „რუსთავი-2"-ის პროცესის დაწყებისთანავე „ნაციონალურმა მოძრაობამ", ფაქტობრივად, ცარიელ ადგილზე დაიწყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა. მიმდინარე მოვლენები რამდენად შეიძლება გახდეს საფუძველი, რომ ეს ყველაფერი ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაში გადაიზარდოს? არსებობს შესაბამისი მხარდაჭერა საზოგადოებაში?**

— ყველა პრობლემა არჩევნების გზით უნდა წყდებოდეს, თუ საქმეს წაადგება, შეიძლება ვადამდელი არჩევნებიც დაინიშნოს. ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს რომ გადავხედოთ, ძნელი სათქმელია, რომელს შეიძლება აწყობდეს ვადამდელი არჩევნები, რადგან ამისთვის არც ერთი მათგანი არ არის მზად.

ერთადერთი ნაციონალურ მოძრაობას შეიძლება აწყობდეს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ „რუსთავი-2"-ის თემით გამოიწვევს საერთო დესტაბილიზაციას ქვეყანაში. მათი 13%-იანი რეიტინგი რომ ვირწმუნოთ კიდეც, ძნელად წარმოსადგენია ასეთი რეიტინგით არჩევნების მოგება თუ არ მოხდა ხელისუფლების დაშანტაჟება, არეულობა და ა.შ. სხვა პირობებში ნაციონალები ვერ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში.

**— მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს მოსახლეობას ხელს არ აძლევს ვადამდელი არჩევნები, რამდენადაც 2012 წლის 1 ოქტომბერს მან თავისი არჩევანი გააკეთა. 2016 წლის არჩევნებშიც ის თავის არჩევანს გააკეთებს.**

— რა აწყობთ გარე ძალებს ეს მეორე საკითხია, მაგრამ აღმოსავლეთითაც, ჩრდილოეთითაც, დასავლეთითაც და სამხრეთითაც პოლიტიკურ ძალებს უნდა ახსოვდეთ, რომ თუ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება არ მოვა საქართველოში, ის გახდება დესტაბილიზაციის წყარო რეგიონში — ეს კი არავის არ უნდა აწყობდეს.

ვინც ახლა საქართველოში წყალს ამღვრევს და დესტაბილიზაციის კერის შექმნას ცდილობს, ის მომავალი გლობალური დესტაბილიზაციის მომხრეა.

**— რომელ ძალას გულისხმობთ? ჯერჯერობით „ევროპის სახალხო პარტიამ" გამოხატა საკუთარი პოზიცია...**

— არც ერთ ძალას არ გამოვრიცხავ, მათ შორის არც „ევროპის სახალხო პარტიას", რომელსაც ევროპული ფასეულობები საკმაოდ შერჩევითად ესმის და საკუთარ ინტერესებში ხშირად ურევს. თუ ის, რაც ნაციონალების დროს იყო საქართველოში, ევროპული დემოკრატიაა, როგორც ჩანს, ჩვენ დემოკრატიისა საერთოდ არაფერი გვესმის.

**— გასაგებია, რომ დესტაბილიზაციის მცდელობა იგრძნობა, მაგრამ რამდენად არსებობს ამისი საფუძველი?**

— საქართველოში პოლიტიკური პროცესების განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, დესტაბილიზაცია მოსალოდნელი არ არის. თუ ჩავთვლით, რომ პროცესები თვითკმარია და ქვეყნის შიგნით მოქმედი ძალები არიან მხოლოდ აქტიორები, ისინი ვერ იპოვიან ქართველ საზოგადოებაში დასაყრდენს დესტაბილიზაციის გასაღვივებლად. მაგრამ, თუ უცხოეთში მოქმედი ძალები ამ პროცესში ჩაერევიან შესაბამისი ფინანსური და პოლიტიკური ბერკეტებით, მაშინ გამორიცხული არ არის ძალიან სერიოზული დაპირისპირება, ხოლო დაპირისპირების მხარეები მოიძებნებიან.

**— კონკრეტულად რა გიჩენთ ეჭვს, რომ უცხოეთში ვიღაც დაინტერესებულია საქართველოში დესტაბილიზაციით?**

— პირველ რიგში, ამის საფუძველს მაძლევს გამარტივებული და მეტისმეტად პრიმიტიული ხედვა ჩვენი მეგობრების და სტრატეგიული მოკავშირეების, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი დასაყრდენი საქართველოში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მათ მიერ ნასაზრდოები სამოქალაქო სექტორის ერთი ნაწილი. ხოლო ყველა სხვა, მათ მიერ განიხილება როგორც არამოკავშირე და არამეგობრულად განწყობილი დასავლეთისადმი, რაც სერიოზული შეცდომაა და შესაძლოა, სავალალო შედეგებით დამთავრდეს, როგორც მათი ინტერესებისთვის რეგიონში, ასევე ქართველი ხალხისათვის. მით უმეტეს, რომ რეგიონი უაღრესად ფეთქებადსაშიშია.

თუ გადავავლებთ თვალს რა ხდება გარშემო — უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ყველგან დაძაბული სიტუაციაა, ახლო აღმოსავლეთში სერიოზული დაპირისპირებაა ებრაელებსა და პალესტინელებს შორის, სირიაში რაც ხდება კი სერიოზული საფრთხეა არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ, მთელი მსოფლიოსთვის. თუ გავითვალისწინებთ ამ ყველაფერს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობენ სერიოზული ძალები, დაწყებული ცივილიზებული სამყაროს ცალკეული პოლიტიკური წრეებით, დამთავრებული ისლამური სახელმწიფოს ლიდერებით, რომლებისთვისაც საქართველოში შექმნილი დესტაბილიზაცია იქნებოდა ხელსაყრელი შემდგომი პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად.

**— შესაძლოა, ვინმეს კონტექსტიდან ამოვარდნილად მოეჩვენოს, მაგრამ როგორც კი საქართველოში სიტუაცია ოდნავ იძაბება, ეროვნული ვალუტა მაშინვე გაუფასურებას იწყებს. ეს ხელოვნურად ხდება, უბრალო დამთხვევაა თუ ბუნებრივი პროცესი?**

— ეს სერიოზული ბერკეტია სოციალური სტაბილურობისათვის. როდესაც ეროვნული ვალუტა სტაბილურია, დესტაბილიზაციის შექმნისათვის საბაბი ნაკლებად მოიძებნება. მიმაჩნია, რომ ბერკეტები რომელიც ეროვნულ ბანკს გააჩნია, იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციით ის არ არის პასუხისმგებელი ეროვნული ვალუტის კურსზე, მას მაინც აქვს ისეთი ბერკეტები, რომელიც ახდენს გავლენას ეროვნული ვალუტის კურსზე. როდესაც ეროვნული ბანკი კონტროლდება ოდესის გუბერნატორის მიერ, შეიძლება გარკვეული ეჭვები გაჩნდეს საზოგადოებაში.

ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს თუ გადავხედავთ, აშშ-ის ახალი ელჩის ჩამოსვლის შემდეგ კურსი მეტნაკლებად, სტაბილური გახდა, იმედი მაქვს ამ მიმართულებით ნებისმიერი დესტაბილიზაციის მცდელობის შემთხვევაში, აშშ-ის საელჩო ფლობს ბერკეტებს, რომ სიტუაცია კონტროლიდან არ გამოვიდეს.

**— ანუ აშშ გამოირიცხა იმ სიიდან, ვისაც შეიძლება სურდეს დესტაბილიზაცია საქართველოში?**

— ყველა ლოგიკით მას ხელს არ უნდა აძლევდეს არეულობა საქართველოში. თუ გახსოვთ 2012 წელსაც ყველაფერი მზად იყო არჩევნების გასაყალბებლად, მაგრამ აშშ-მ ქართველი ხალხის ნებას დაუჭირა მხარი. ახლაც მგონია, რომ ქართველი ხალხის ნებაში ის თავის დასაყრდენს უნდა ხედავდეს. დასავლეთს არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ თუ ვინმე მომხრეა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების, ეს საფრთხეს ქმნის. მერწმუნეთ, საზოგადოების ეს ნაწილიც ზუსტად იმას ფიქრობს, რაც ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, როდესაც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებისკენ მოუწოდა, ანუ საზოგადოების ეს ნაწილიც ევროინტეგრაციის მომხრეა და არავინ არ უნდა ფიქრობდეს, რომ საქართველომ საგარეო ვექტორი შეცვალა.

ესაუბრა
**მარიამ თოდაძე**

## დღის ამოჩაზურიდან



**— ჰუმ ფეხი გამოყოო, იმისი არ იყოს, „კავკასია" არ იკმარა ჯანგირაშვილის ქალმა, აქუბარდიისამ და, ცრუსთავი-2-ის მხარდამჭერთა მარაქაში გარეულმა, მსოფლიო პოლიტიკოსად თუ პოლიტოლოგად თავის წარმოსაჩენად მთელი ხმით ჩაიძახა ცრუსთავი-2-ის რეპორტიორის მიერ მიშვერილ მიკროფონში: თუ მოსამართლემ ჩვენი ხმა არ შეისმინა და განაჩენი ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ გამოიტანა, როგორც თბილისში, ისე მთელ საქართველოში ბარიკადები აღიმართებაო...**

**ყოჩაღ ჯანგირაშვილის ქალო, ნინო აქუევნა, თავისუფალი სიტყვის ქომაგო, ნინო კი არა, ზედგამოჭრილი ვანგა თუ არა, ლელა კაკულია მაინც ხარ!**

## დღის თემა

# ბოლომდე ვიბრძოლებ „მაესტროს" გადასარჩენად

**ტელეკომპანია „მაესტროსთან" დაკავშირებით გია გაჩეჩილაძე (უცნობი) განცხადებას ავრცელებს. გია გაჩეჩილაძის განცხადებას, სახელწოდებით „ღია წერილი საზოგადოებას" „ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ:**

**„ამ წერილს არ ჰყავს კონკრეტული ადრესატი და ჩემთვის უჩვეულოა საზოგადოებისთვის საჯარო წერილის მიწერა, მაგრამ ტელეკომპანია „მაესტროს" ირგვლივ შექმნილმა გარემოებებმა ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა. დღეს „მაესტროს" გაკოტრებისა და ლიკვიდაციის საკითხი დგას, რაც ჩემი „მაესტროდან" ჩამოშორების სურვილს უკავშირდება. საინტერესოა, რატომ? რატომ, როდესაც „მაესტროს" არსებობის არც ერთ ეტაპზე მე „მაესტრო" არ მიმართია, თუმცა მის შექმნაში რა მონაწილეობაც მაქვს მიღებული, თქვენ თვითონ განსაჯეთ.**



**„მაესტრო" იყო ჩემი უკომპრომისო და უანგარო ბრძოლა თანამოაზრეებთან ერთად ყოველი ჩვენგანის უფლებებისთვის და თავისუფლებისთვის. რატომ მაბრალებენ, რომ მე, რადიო „უცნობის" დამფუძნებელს, რომელზეც არაერთი ცნობილი ჟურნალისტი მოღვაწეობდა, მინდა „მაესტროს" პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება? ვერც ერთი ჟურნალისტი ვერ იტყვის, რომ მე ვერეოდი მის დამოუკიდებლობაში ან რადიოს სარედაქციო პოლიტიკაში.**

**რატომ აკოტრებენ „მაესტროს", როდესაც შესაძლებელია მისი გადარჩენა? რატომ მეუბნებოდნენ აქამდე უარს მოლაპარაკებაზე? რა გეგმა აქვთ ისეთი, რომელშიც მე ვერ ვეწერები? რატომ არ არის დღეს „მაესტროს" საკითხი განხილვის ღირსი? რატომ საუბრობენ მხოლოდ „რუსთავი 2"-ზე? იმ დროს, როდესაც სხვა ტელევიზიებს მილიონებს პატიობდნენ, მე „მაესტროს" საკანში ბომბას მიგდებდნენ.**

**დღეს ისევ აღრეულია თავისუფალი სიტყვა და პროპაგანდა ერთმანეთში. ყველაფერს პოლიტიკური სპეკულაციისა და ორმაგი სტანდარტის სუნი ასდის. საზოგადოება ისევ სიმართლის ძიებაშია. მე ბოლომდე ვიბრძოლებ „მაესტროს" გადასარჩენად", — ნათქვამია გია გაჩეჩილაძის (უცნობი) წერილში.**

# სასამართლომ 17 მაისის საქმეზე ბრალდებულები გაამართლა

**2013 წლის 17 მაისის საქმეზე ბრალდებული მამა იოთამი, იგივე ირაკლი ბასილაია და მასთან ერთად ბრალდებულები სასამართლომ გაამართლა. როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იუწყება , განაჩენი მოსამართლე დავით მგელიაშვილმა გამოაცხადა.**

**17 მაისის აქციაზე მანიფესტაციის ხელის შეშლის ბრალდებით თავდაპირველად ხუთი პირი მისცეს პასუხისგებაში, შემდეგ ერთ-ერთ სასულიერო პირზე, მამა ანთიმოზზე სამართალწარმოება შეწყდა. სასამართლო ოთხი პირის ბრალდების საქმეს განიხილავდა. მოსამართლე დავით მგელიაშვილმა ოთხივე ბრალდებული სრულად გაამართლა, მუხლი კი, რომლითაც 17 მაისის საქმეზე ბრალდებულებს ედავებოდნენ, ჯარიმას ან ერთ წლამდე ვადის პატიმრობას ითვალისწინებს.**

**მედიის წარმომადგენლები მამა იოთამს, იგივე ირაკლი ბასილაიას გამამართლებელი განაჩენის შემდეგ კომენტარს სთხოვდნენ, თუმცა მედიის წარმომადგენლებს შეკითხვაზე არ უპასუხა. „მე პორნოვიზიასთან საქმე არ მაქვს, პორნოვიზიაა ყველა ტელევიზია", — აღნიშნა მამა იოთამმა, იმავე ირაკლი ბასილაიამ. მასთან ერთად სხვა სასულიერო პირებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც ბრალდებულებს გულშემატკივრობდნენ. სასულიერო პირმა ჟურნალისტებს ვიდეოგადაღების საშუალება არ მისცა და ოპერატორს მოსთხოვა, რომ კამერა გაეთიშა.**

ინტერპრესი

# როცა პრემიერსა და მოსამართლეს თითს უქნევენ!

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამბობს, რომ მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და კანონით ისჯება. იურისტების შეფასებით, სწორედ ეს მუხლი დაარღვია საქართველოს პრეზიდენტმა, როდესაც საჯაროდ მიმართა მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს და მოუწოდა ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება არ მიიღოს, რაც გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას.**

იურისტი **ამირან გიგუაშვილი** ამბობს, რომ არავის, და მათ შორის არც პრეზიდენტს, არა აქვს უფლება, საქმის განმხილველ მოსამართლეს რიტორიკული კითხვები დაუსვას და, მით უმეტეს, კონკრეტული მოწოდებებით მიმართოს წარმოებაში არსებული საქმის შესახებ.

გიორგი მარგველაშვილს და პოლიტიკური თანამდებობის პირებს სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას მიმართა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლემ თამაზ ურთმელიძემ, რომ არ გააკეთონ განცხადება კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, სანამ სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

დღის ბოლოს პრეზიდენტის მიერ მოსამართლის მისამართით გაკეთებულ განცხადებას, იუსტიციის მინისტრი გამოეხმაურა. თეა წულუკიანის განცხადებით, ჩვენ, ზოგჯერ გვავიწყდება, რომ მოსამართლეც ადამიანია და იმისათვის, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, ემოციური სიმშვიდე სჭირდება.

**„როცა მოსამართლეზე ხდება პერმანენტული თავდასხმები ყველა მხრიდან, როდესაც უკვე სახელმწიფოს მეთაური აკეთებს ასეთ განცხადებებს, მე მაქვს წუხილი, როგორ გაუძლებს ამ ვერბალურ ზეწოლას მოსამართლე. მაგრამ მჯერა, რომ მოსამართლე მშვიდად, აუღელვებლად, მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტს იმას, რაც გამომდინარეობს საქმის მტკიცებულებებიდან“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მოსამართლესთან ერთად გიორგი მარგველაშვილის კრიტიკის ადრესატი მთავრობის მეთაურიც გახდა, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაციაში დაადანაშაულა. ქვეყნის პირველი პირი ამბობს, რომ მთავრობის მეთაურის გამოსვლამ სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, მეტი დაძაბულობა შეიტანა ისედაც რთულ ვითარებაში.

გიორგი მარგველაშვილის 1-წუთიან განცხადებას წინ უძღოდა პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკაში დარჩენის მორალური უფლება არა აქვს. ირაკლი ღარიბაშვილმა ეს განცხადება უკრაინულ მედიაში ე.წ. სამეგრელოს კასრების ვიდეოკადრების გავრცელების საკითხზე საუბრის კონტექსტში განაცხადა.

ღარიბაშვილის თქმით, ნაციონალური მოძრაობის სიმბოლო სწორედ ის ნიღბიანი მამაკაცია, რომელიც აღნიშნულ ვიდეომასალაში მოქალაქეს აუპატიურებს. პრემიერის თქმით, ნაცვლად იმისა, რომ 3 წლის განმავლობაში ნაციონალურ მოძრაობას ყოველდღე ბოდიში მოეხადა საზოგადოებისთვის თავის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის, იგი კვლავაც უტიფრად აგრძელებს საზოგადოების შეურაცხყოფას და ცდილობს, რომ შექმნას არეულობა და ქაოსი.

**„მინდა, ყველას გითხრათ, რომ მსხვერპლნი არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც სამეგრელოში ცხოვრობენ. მათ არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ. მე ვიცი ერთი ადამიანის ისტორია, რომელიც სახლიდან ღამის 3 საათზე მოიტაცეს, მის ორსულ მეუღლეს კი სასტიკად გაუსწორდნენ, რის შემდეგაც მუცელი მოეშალა, ეს კაცი წაიყვანეს და აწამეს ისე, როგორც თქვენ ვიდეოში ნახეთ, ხოლო შემდეგ, იმის გამო, რომ მას ვერ აალებინეს საკუთარ თავზე არჩადენილი დანაშაული, სხვა მიზეზით — ნარკოტიკების ჩადებით გაასამართლეს“,** — აღნიშნა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ გიორგი მარგველაშვილმა 1-წუთიანი განცხადებით, სწორედ რომ, ხელი შეუწყო ქვეყანაში დაძაბულობის ესკალაციას. პრეზიდენტის განცხადებას უპასუხისმგებლოს და არაკომპეტენტურს უწოდებს,



**„რას ჰქვია, არ მიიღოს ხისტი გადაწყვეტილება?! იცის მარგველაშვილმა, რა გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე?!“**

პოლიტიკური კონსულტანტი ვალერიან გორგილაძე, რომლის განცხადებით, მარგველაშვილმა 1-წუთიან გამოსვლაში უამრავი შეცდომა დაუშვა.

**„ეს იყო ძალზედ უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტური განცხადება. მას ჰყავს მრჩევლები და უნდა სცოდნოდა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, მოსამართლისთვის მიმართვა, დიახ რომ არის ზეწოლა სასამართლოზე. რას ჰქვია, არ მიიღოს ხისტი გადაწყვეტილება?! იცის მარგველაშვილმა, რა გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე?!**

**მარგველაშვილის აზრით, მთავრობის მეთაურმა თავისი განცხადებით ხელი შეუწყო ესკალაციას, ამ დროს კი, პირიქით, მარგველაშვილმა კიდევ უფრო გააღრმავა ეს შესაძლო დაპირისპირება. კონცენტრირება გაუკეთა და გააძლიერა სამოქალაქო დაპირისირების კონტურები, რომელიც იმედია, არ გამოჩნდება.**

**პრეზიდენტის ფუნქცია არის საზოგადოების კონსოლიდაცია და არა გახლეჩვა, რაც გააკეთა მარგველაშვილმა თავისი განცხადებით. პრეზიდენტმა გაამწვავა ვითარება. არ ვიცი, რა მიზნები ამოძრავებს პრეზიდენტს. თუ მას მიაჩნია, რომ ამ განცხადებით აქტიური პოლიტიკური მოთამაშე ხდება, არ ვიცი. რბილად რომ ვთქვათ, ეს იყო ძალზე არაკომპეტენტური განცხადება“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ვალერიან გორგილაძემ.**

საზოგადოებრივი კომუნიკაციების კვლევისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი არჩილ გამზარდია აცხადებს, რომ პრეზიდენტმა, ისევე როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ, სასამართლოს მიმართ უნდობლობა გამოხატა და თითი დაუქნია მოსამართლეს.

**„მარგველაშვილს პატარა გამოსვლას ბევრი შეცდომა ჰქონდა. პირველი — პრეზიდენტმა პროცესებში ჩართულობის კუთხით გაუგებარი პოზიცია გამოთქვა. მეორე — თითი დაუქნია მოსამართლეს და გააფრთხილა ჭკვიანად იყავიო, რაც არაკორექტულია, მით უმეტეს, რომ ამის უფლებამოსილება არ ჰქონდა. მესამე შეცდომა გახლავთ ის, რომ მთელს თავის გამოსვლაში მთავარი აქცენტი დაუთმო მთავრობის მეთაურის კრიტიკას, ეს უფრო გაუგებარია.**

**პრეზიდენტი, რომელიც თავს საკონსტიტუციო გარანტად მიიჩნევს, არ უნდა აკეთებდეს ძალიან უხეშ განცხდებას და კვალიფიკაციასთან მიმართებაში ფრთხილი უნდა იყოს. კვალიფიკაცია — სამოქალაქო დაპირისპირება ეს არის ყველაზე დიდი ბოროტება, რაც ამ წუთში შეიძლება გააკეთოს ადამიანმა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრეზიდენტმა საზოგადოებას სამოქალაქო დაპირისპირებისაკენ უბიძგა, რაც ძალიან ცუდია, მაგრამ მან ეს გააკეთა“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **არჩილ გამზარდია.**

პრეზიდენტის განცხადებას მოსამართლეზე პირდაპირ ზეწოლად აფასებს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, რომელიც ქვეყნის პირველ პირს მოუწოდებს მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებები გააკეთოს.

**„აშკარად ჩანს მისი მხრიდან ჩარევა, ზეწოლა მოსამართლის მიმართ, რადგან ის მოუწოდებს მოსამართლეს, რომ არ მიიღოს ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება. რას ნიშნავს, ეს ჩემთვის გაუგებარია. მოვუწოდებ პრეზიდენტ მარგველაშვილს, განმარტებები გააკეთოს ამასთან დაკავშირებით. ეს არის მოსამართლეზე პირდაპირი ზეწოლა და ჩარევა მის საქმიანობაში“,** — განაცხადა **კახა კალაძემ.**

პრეზიდენტის მიერ „რუსთავი-2“-ის საქმის მოსამართლისადმი გაკეთებულ მოწოდებას, მის მიერ სასამართლო საქმიანობაში ჩარევად აფასებს სასჯელაღსრულების მინისტრი **კახი კახიშვილი.**

პრეზიდენტის განცხადებას უპასუხისმგებლოს უწოდებს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელიც, რომლის შეფასებითაც, საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

როგორც for.ge-ს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრმა **ნუკრი ქანთარიამ** განუცხადა, პრემიერ-მინისტრს ისეთი არაფერი უთქვამს, რასაც საღად მოაზროვნე ადამიანი არ ფიქრობს.

ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოადგილე **თამარ კორძაია** მიიჩნევს, რომ პრემიერმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა და მას მოწოდება არ გაუკეთებია. for.ge-სთან საუბარში დეპუტატი ამბობს, რომ ის მსგავსი ტიპის მოსაზრებების გამოხატვას არ მიესალმება, მაგრამ ნებისმიერი პოლიტიკოსი თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა მეტყველებდეს.

უმრავლესობის მომავალი ლიდერი **ზვიად კვაჭანტირაძე** ფიქრობს, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადება ემოციური იყო, მაგრამ მან პარტიული კუთხით ისაუბრა. როგორც for.ge-ს კვაჭანტირაძემ განუცხადა, პრემიერმა საქართველოს მოსახლეობის პოზიცია გაახმოვანა.

**„პრემიერი პოლიტიკური ლიდერია და მან რეალობა წარმოაჩინა. ვფიქრობ, რომ პრემიერის გამოსვლიდან დასკვნები სხვებმა უნდა გამოიტანონ, მათ შორის, პრეზიდენტმა. მას უნდა ახსოვდეს, რომ ის წესრიგისა და კონსტიტუციის დაცვის გარანტია. მან თავისი განცხადებებით „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობას ხელი არ უნდა შეუწყოს, რომ სამართლებრივი სივრციდან პრობლემა აპოლიტიკურ სივრცეში გადაიტანოს. რეიტინგები იმ სცენარის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც „რუსთავი-2“-ის მხრიდან მისი ხელმძღვანელობა მართავს, ნაციონალთა მამების მიერ იწერება და წარუმატებლად ხორციელდება“,** — აცხადებს კვაჭანტირაძე.

მარგველაშვილს აკრიტიკებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **თამაზ მეჭიაური.**

რაც შეეხება პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირების თაობაზე ოპოზიციის განწყობას, „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ ერთ-ერთი ლიდერი **ზურა ჯაფარიძე** პრეზიდენტით აღფრთოვანებული ხალხის საყურადღებოდ მარგველაშვილთან გამართული შეხვედრის დეტალებს ასაჯაროვებს. დეპუტატის ცნობით, შეხვედრაზე საუბარი იყო იმაზე, რომ ყველამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა პოლიტიკური პროცესების ესკალაცია არ მოხდეს.

**„პრეზიდენტს ვკითხე, აპირებთ თუ არა რაიმე ფორმით რეაგირებას იმაზე, რომ ონლაინ სირცეში, არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეოების ატვირთვა ხდება-თქო? რაზეც მან მიპასუხა: გაუგებარია, პასუხისმგებელი ვინ არის და ვის რა უნდა მოვუწოდოო. მისი ბრიფინგის მიუხედავად, საზოგადოებას გადაჭარბებული მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს“,** — დასძენს ჯაფარიძე.

ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე **ირაკლი ჩიქოვანი** კი აცხადებს, რომ არის რეალური მცდელობა იმისა, ერთმანეთის დემონიზაციის გზით, „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაძაბონ. კანონმდებლის მოსაზრებით, ნაციონალები და ხელისუფლება დაპირისპირების გაღვივებას და პროცესების ქუჩაში გადატანას ცდილობენ, რაც სახელმწიფოსთვის მიუღებელია.

**„ხელისუფლებას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, რომ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგი სრულყოფილად იყოს დაცული. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არჩევნებამდე ნორმალურად მივიდეთ და ერთ პოლიტიკურ ძალასაც და მეორესაც საკუთარი განაჩენი გამოვუტანოთ. ეს განაჩენი ქართველ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს“,** — განაცხადა ჩიქოვანმა.

**თამთა ქარჩავა, თეონა მანაგაძე**

**ალიან-ჩალიანი**

## ხუხაშვილი დასავლურად გვასწავლის ჭკუას

**ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული პროცესები საქართველოს დასავლეთის მიმართულებით პრობლემებს შეუქმნის.**

**„უცხოეთში ესმით სამი რაღაც, რაზეც ხდება ძალიან მკვეთრი რეაქცია — წამება, სიტყვის თავისუფლება და უმცირესობების თემა. მეჭიაურის პირით სიტყვის თავისუფლების თემას მიამატეს უმცირესობების თემა, ეს არის უგუნურების პიკი და ამაზე მეტ ზიანს საკუთარ თავს ვერავინ მიაყენებს. ხალვაში და რაღაც წილები დასავლეთს არ აინტერესებს. ისინი უყურებენ საერთო სურათს და საერთო სურათი არის მათთვის ცალსახად სადიაგნოსტიკო. მქონდა გუშინ ერთ-ერთ ელჩთან შეხვედრა და განწყობა არის ასეთი, რომ ეს ესკალაცია შესაძლოა, აღმოჩნდეს ბოლო წვეთი იმისთვის, რომ ჩვენ ძალიან ბევრი დავკარგოთ. არსებობს წითელი ხაზები, რომლის იქითაც დასავლეთმა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო და ამის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა, დავკარგოთ ის პერსპექტივა, რასაც ვაცხადებთ, აღარ ვიყოთ საინტერესო. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც რუსეთი უფრო ძლიერდება. დასავლეთი განწყობილია, რომ გარკვეულ დათმობებზე წავიდეს რუსეთთან და არ მინდა სავაჭრო დახლზე საქართველო დაიდოს. თუმცა, ჩვენ თუ არგუმენტები მივეცით, რატომაც არა და ჩვენ ვაძლევთ არგუმენტებს“, — განაცხადა ხუხაშვილმა.**

**ხუხაშვილი გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის მარკ ტონერის განცხადებას და აღნიშნა, რომ „ის, რომ საგარეო კუთხით ხელისუფლებას დედა არ ყავს, ურთმელიძის არ იყოს, ეს ფაქტია“.**

**ინტერპრესი**

# ირაკლი სესიაშვილი: ნიკა გვარამია სააკაშვილის პაიკია

**პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ „რუსთავი-2" ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სხეულის ნაწილია და ქვეყანაში ვითარების ესკალაციის მიზნით, სააკაშვილის, „პოლიტიკური მაფიებისა" და ნაციონალების მხრიდან ნიკა გვარამიას გამოყენება ხდება.**

**პოლიტიკურ ფლანგზე მიმდინარე პროცესების შეფასების მიზნით, დღეს ირაკლი სესიაშვილი გვესაუბრება.**



**ნაციონალები იმაზე ნუ იოცნებებენ, რომ ხელისუფლებას არეულობაში ჩაითრევენ!**

**— მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ზეწოლის თაობაზე ნიკა გვარამიას ინფორმაცია ალექსი ახვლედიანმა მიაწოდა, რომელიც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია. მის ამ ნაბიჯს რითი ხსნით?**

— საჯარო მოხელეობა იმას არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის პირი ვინმესთან დაახლოებულია. გვარამია აცხადებს, რომ ახვლედიანი მისი მეგობარია. მთავარმა პროკურატურამ უნდა გაარკვიოს, გვარამისა და ახვლედიანს შორის იყო თუ არა მეგობრული საუბარი, საერთოდ, ახვლედიანმა უთხრა თუ არა გვარამიას რაიმე და ამას გვარამია ყიდის თუ არა სახელისუფლებო გზავნილად. ყველაზე მეტად ხელისუფლებაა დაინტერესებული, რომ პროცესი გამჭვირვალე იყოს და საზოგადოებას კითხვები არ დარჩეს. პოლიტიკური ჯგუფები დაინტერესებულნი არიან, რომ „რუსთავი-2"-ის გარშემო განვითარებული მოვლენები ისე შეფუთონ და გაყიდონ, როგორც თავად აწყობთ. თუკი ვინმეს ინტერესში შედის, რომ ქვეყანაში დაძაბულობა იყოს და რევოლუციური მოწოდებები კეთდებოდეს, ეს ნაციონალების მიზნებს ემსახურება. „ნაციონალური მოძრაობა" ვადამდელ არჩევნებს ითხოვდა, მაგრამ მათ ბუშტი გაბერეს და თან გაქრნენ. „რუსთავი-2" მათი პოლიტიკური სხეულის ნაწილია და ისინი მიზნის მიღწევისთვის ამ ტელევიზიას როგორც საშუალებას ისე იყენებენ და სიტუაციას ძაბავენ. ამ პროცესში სხვა პოლიტიკურ ძალებსა და პირებს ვხედავ, რომლებსაც, როგორც ჩანს, საკუთარი ინტერესები გააჩნიათ. ოპოზიცია არჩევნებისთვის იბრძვის, მათი მიზანია, რომ საზოგადოების თვალში ხელისუფლების რეიტინგი დაეცეს, რათა ისინი გამოჩნდნენ.

**— გვარამია აცხადებს, რომ ხელისუფლებას მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები აქვს. თქვენ როგორც თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ინფორმაციას ფლობთ, არსებობს თუ არა მსგავსი კადრები? თუკი არსებობს, წინა ხელისუფლება მსგავმა პოლიტიკამ დაღუპა და თქვენც იმავეს აგრძელებთ?**

— ცხრაწლიანი სერიალების შემდეგ, საზოგადოებაში ფარულ მოსმენა-მიყურადებაზე ეჭვები დარჩენილია, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენი მმართველობის პერიოდში ჩაწერილ მსგავსს კადრებს ვერ იპოვით. ის ჩანაწერი, რაც შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ფარესაშვილთან დაკავშირებით გაავრცელა, ეს მანამდე გაკეთებული იყო. ჩვენი ხელისუფლების ჩანაწერების წარმოება პრინციპულად მიუღებელია, რის გამოც კანონმდებლობაში ამკრძალავი ნორმა ჩავდეთ. თუკი ამ კადრების გავრცელებაა აკრძალული, მის ჩაწერას აზრი არ აქვს. რაც შეეხება გვარამიას, სულელი არავინ არის და კარგად ვხვდებით, რომ ის ამ პროცესში პაიკია, რომელსაც სააკაშვილი, ძველი პოლიტიკური მაფიები და ნაციონალები იყენებენ. იქ გვარამია რომ არ იყოს, სხვა იქნება. მათთვის გვარამია ყველაზე წამგებიანი პერსონაა, რადგან ეს ის პირია, რომელიც 2007 წელს, „იმედის" განადგურების დროს პროკურორი იყო. ეს ბატონი გამოვიდა და გვითხრა, რომ ყველაფერი კანონიერად მოხდაო. თუკი ხელისუფლებას გვარამიას ჩამოცილება უნდა, ამით ხელისუფლება მისთვის სასარგებლო შედეგს კი არ მიიღებს, პირიქით. ის ამ პროცესში ნეგატივია და ვინაიდან პაიკია, მისი შეცვლა პრობლემა არაა.

**— 27-29 ოქტომბერს ევროპარლამენტი „რუსთავი-2"-თან დაკავშირებით, საკმაოდ კრიტიკული რეზოლუციის მიღებას გეგმავს. ეს ასოცირების პროცესზე რა გავლენას იქონიებს?**

— რისკები არსებობს. ნაციონალური მოძრაობის ანტიეროვნული ქმედებები მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე ქვეყანა დააზიანონ. ისინი ცდილობენ, რომ საქართველო დააშანტაჟონ. ქვეყანას ეუბნებიან, რომ მათი პოლიტიკური ინტერესები თუ არ გატარდება, მაშინ სახელმწიფოს ზურგში ნაჯახს ჩაარტყამენ და შეეცდებიან, რომ ევროპამ ვიზა-ლიბერალიზაცია არ მოგვცეს. ისინი პირდაპირ შანტაჟზე მიდიან. ისინი ქვეყნის ინტერესებს პირველ ადგილზე არასოდეს არ აყენებენ. ისინი „პატრიოტები" მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან, თუკი ხელისუფლებაში არიან. სხვა შემთხვევაში, ნაციონალებს საკუთარ პოლიტიკურ მარცხს ქვეყნის უბედურება ურჩევნიათ.

**— ნაციონალები ოპოზიციაში არიან და არც მალავენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნება სურთ. შესაბამისად, ისინი მიზეზებს ეძებენ. ხელისუფლება მათ დღის წესრიგს რას უპირისპირებს?**

— ხელისუფლებაში მოსვლა ყველა პოლიტიკურ ძალას უნდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ უნდა წახვიდე. სამწუხაროდ, ბევრი ამ გზას ადგას. ჩვენი პასუხია — კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა, გამჭვირვალე პროცესი და საკუთარი ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულება. შეიძლება, ზოგჯერ, დასავლეთთან მესიჯის სწორად მიტანა არ გამოგვდის, მაგრამ ეს იმ ნალმების ბრალია, რომელიც წლების მანძილზე, იქაც იდებოდა. ამის არ უნდა შეგვეშინდეს. დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს საღად შეხვდება. ნაციონალებმა და „რუსთავი-2"-მა რაც უნდა ბევრი მოიტყუონ, ჩვენს პარტნიორებს სრული და ობიექტური ინფორმაცია აქვთ.

**— საზოგადოების რაღაც ჯგუფი აცხადებს, რომ „რუსთავი 2"-ის დასაცავად კარვებს და თერმოსებს მოიმარაგებენ და აქციებისთვის მზად არიან. ესკალაციის საფრთხეს ხედავთ?**

— აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს ისევე, როგორც კანონის ფარგლებში, მიტინგების გამართვისა და შეკრების უფლება. თუკი საჭიროება მოითხოვს, სადაც დაშვებულია, მათ კარვის გაშლის უფლებაც აქვთ. სააკაშვილმა გვამცნო, რომ თურმე, NDI-ის კვლევებით მისი პარტია პირველ ადგილზე ყოფილა. ამ კვლევებს „ნაცების ოცნებას" ვეძახი. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ნაციონალები და „რუსთავი-2" ერთ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებიან. როგორც ისინი აცხადებდნენ, ურთმელიძეს გადაწყვეტილება დღესვე უნდა მიეღო და მათ „რუსთავი-2" უნდა წართმეოდათ. აქციაზე ხალხის გარკვეული რაოდენობა დავინახე, რომელთა უმეტესობას პოლიტიკური ინტერესი აქვს. აქციაზე დაახლოებით ის 14 პროცენტი იყო, რაც NDI-იმ აჩვენა.

**— ანუ რევოლუციის საშიშროებას ვერ ხედავთ?**

— როცა რევოლუციას აწყობ, ამის საფუძვლები უნდა იყოს, რაც არ არსებობს. ნაციონალები სიტუაციის ხელოვნურ დაძაბვას ცდილობენ, რათა ვითარების ესკალაცია მოახდინონ. რევოლუციის საშიშროებას არ ვხედავ, მაგრამ უფრო მეტად იმის მეშინია, რომ თუკი ნაციონალები რევოლუციურ მუხტს ვერ დაინახავენ, ისინი პროვოკაციაზე წავლენ, რაც არაერთხელ გაუკეთებიათ. თუნდაც, „მოდელირებულ ქრონიკას" გაგახსენებთ. იმაზე ნუ იოცნებებენ, რომ ხელისუფლება არეულობის ნაწილი გახდება და სისხლის გუბეები დადგება. რიგგარეშე არჩევნებს ახსენებენ და ავიწყდებათ, რომ პარლამენტში ულირსად და მოპარული ხმებით სხედან, თუ მაგრები არიან, ადგნენ, ქუჩაში გავიდნენ და პარლამენტი დატოვონ.

**— პრეზიდენტის მხრიდან მოსამართლეზე განხორციელებული ზეწოლა, თქვენი აზრით, რაში გამოიხატა — მის მოწოდებაში?**

— მან მოსამართლეს მოუწოდა, რომ ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება არ მიიღოო. ამით მარგველაშვილმა ურთმელიძეს უთხრა, რომ გადაწყვეტილება დღეს არ გამოაქვეყნოო. ეს ზეწოლა არ არის? — პრეზიდენტია და არა რიგითი საჯარო მოხელე. პრეზიდენტმა მოსამართლის სავარაუდო გადაწყვეტილება ხისტად უკვე შეაფასა. მისმა განცხადებამ სიტუაციის დეესკალაციას ხელი ნამდვილად არ შეუწყო.

**— თქვენ პრეზიდენტს აკრიტიკებთ, მაგრამ პრემიერის განცხადების პათოსი, რომ ხალხი ნაციონალებს პასუხს აგებინებს, მართებული იყო? მაშინ, როდესაც ნაციონალების პარტიულ ოფისებზე, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო თავდასხმები ხდება, ღარიბაშვილის განცხადებით აგრესიული ადამიანების წახალისება ხომ არ მოხდება?**

— პრემიერის ეს განცხადება წმინდა პოლიტიკურია. მან არაერთხელ შეახსენა ყველას, რომ ის არ დაგვიწყებია, რაც ნაციონალებმა ქვეყანასა და ხალხს დამართეს. მათ საკუთარი ქმედებებისთვის ბოდიში ერთხელაც არ მოუხდიათ და პირიქით, მათ რაღაც ამბიციები აწუხებთ. ჩვენი ხელისუფლების მშვიდი პოლიტიკის შედეგია ის, რომ ამ ადამიანებს ლინჩის წესით პასუხი არ აგებინეს. მათი უფლებების დაცვა ჩვენ გადავწყვიტეთ. მიუღებელია ის, რომ ნაციონალებს გააზრებული არა აქვთ, თუ რა ჩაიდინეს.

**— თქვენ დანაშაულებრივ ქმედებებზე მიანიშნებთ და თუ ეს ასეა, თანამდებობის პირებს პასუხი რატომ არ აგებინეთ?**

— კანონმდებლობით, პოლიტიკური რეჟიმის გასამართლების მექანიზმი არ არსებობს. წამებისა და არადამიანური მოპყრობის გამო, წინა ხელისუფლების დროინდელი 100-მდე საჯარო მოხელე დაკავებული და დასჯილია.

**ესაუბრა**
**თეონა მანაგაძე**

## ◉ ხალხის კითხვა

### ძმებ ყარამანაშვილებს



**— სადა ხართ, ძმებო ყარამანაშვილებო, თუ მართლა თქვენია „ცრუსთავი-2" და არა ძებნილი სააკაშვილისა, რატომ შეატოვეთ ვითომ თქვენი კუთვნილი ტელეკომპანია სააკაშვილის მიერ დირექტორად დანიშნულ ცხრა ნაციონალურ თოკზე გადამხტარ გვარამიას და დღემდე რატომ არ გინდათ, რომ თავად თქვენ თვითონ ჩაებათ ქიბარ ხალვაშთან სასამართლო (სატელევიზიო) დავაში?...**

**გამოჩნდით, ბოლოს და ბოლოს, გააგებინეთ ხალხს არხის ნამდვილი მფლობელები ხართ თუ ცრუმესაკუთრენი, ნაციონალთა სხვა ქვეყანაში გაგუბერნატორებულ ფიურერს აფარებული!**

## ◉ მინისტრის ტრიბუნა

### ქუმსიშვილის იმედიანი ანგარიში ოქროყანიდან

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა სამინისტროს სამი წლის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.**

**„მნიშვნელოვანი წარმატება, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში მივაღწიეთ, რა თქმა უნდა, იყო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში. ეს არის დამატებით 500-მილიონიანი სამომხმარებლო ბაზარი, რომელმაც შექმნა მოთხოვნა. ჩვენი ვალდებულებაა შევქმნათ სამუშაო ადგილები. კერძო სექტორის მიერ ბოლო წლების განმავლობაში დამატებით შექმნილი 60 000 სამუშაო ადგილი არის დადასტურება იმისა, რომ ჩვენ ქვეყანაში ბიზნესის მიმართულებით არის ძალიან მიმზიდველი გარემო", — განაცხადა ქუმსიშვილმა.**

**ნოემბრის შუა რიცხვებში ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები დაიწყება.**



**„სექტემბრის დასაწყისში, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა ჩინეთში, ორი პრემიერ-მინისტრი შეთანხმდა იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნები დაიწყებენ მოლაპარაკებას უკვე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე და ჩვენ აღნიშნულს დავიწყებთ ნოემბრის შუა რიცხვებში", — განაცხადა ქუმსიშვილმა და დასძინა, რომ ჩინეთის მხრიდან ამ პროცესში ჩაერთვება ჩინეთის კომერციის სამინისტრო, ხოლო საქართველოს მხრიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.**

**მინისტრმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შარშან ქვეყანაში მილიარდ 750 მლნ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. „წელსაც ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ციფრები. პირველი ორი კვარტალის განმავლობაში ჩვენ გვქონდა 530 მლნ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები", — განაცხადა ქუმსიშვილმა.**

**მისივე თქმით, ხელისუფლების ძირითადი ამოცანა არის სამუშაო ადგილების შექმნა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდა.**

**„ჩვენ ასევე ვიზრუნებთ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას. ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ტრადიციული მიმართულებები ისეთი, როგორიცაა ტურიზმი, სადაც ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი წარმატებები. შარშანდელი წელი დავხურეთ 5 500 000 საერთაშორისო ვიზიტიორით. ჩვენ წელს ველოდებით 6 მილიონამდე საერთაშორისო ვიზიტიორს. ტურიზმი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსში, მას შემოაქვს მილიარდ 800 მლნ დოლარის შემოსავალი და ის ქმნის არაერთ სამუშაო ადგილს. ამ მიმართულებით ჩვენ სერიოზულ ინვესტიციებს ვახორციელებთ და მომავალშიც გავაგრძელებთ", — განაცხადა ქუმსიშვილმა.**

**მისივე თქმით, გაგრძელდება მუშაობა იმისთვის, რომ ქვეყანაში ინვესტიციები იყოს წახალისებული. როგორც მინისტრმა აღნიშნა, პრინციპულად მნიშვნელოვანია ის რეიტინგები, რომელიც საქართველოს აქვს და ასევე ის აღქმა, რომელიც დღესდღეობით ინვესტორებს გააჩნიათ. ანგარიშის პრეზენტაციას ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.**

**ინტერპრესი**

# მეშვიდე ფორმაცია



**ამ დღეებში გამოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ცაგოლოვის წიგნი „გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ“. ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია და რას ემყარება ავტორი თავის დასკვნებში? რედაქციამ შეძლო გაცნობოდა წიგნის შინაარსს და მიეცა ავტორისათვის შეკითხვები.**

**— ბატონო გიორგი, წიგნის თავად დასახელებაც კი შესამჩნევად გამოირჩევა ეკონომისტების შრომების მთელი რიგი ჩვეულებრივი დასახელებებისაგან. რამ გიბიძგათ აგერჩიათ ასეთი თამამი სათაური?**

— მოსკოვში ერთი საერთაშორისო კონფერენციის მოდერატორი, რომელშიც მე ვმონაწილეობდი, იყო ჩვენი მემარჯვენე ლიბერალური იდეოლოგიური ფრთის თავმჯდომარე. ჩემი გამოსვლის შემდეგ მან, არც თუ სარკაზმის გარეშე, წარმოთქვა: „როგორც იქნა, დაგვიხაზეს გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ“. პასუხად მე შევნიშნე, რომ ამგვარ შეკითხვებზე საერთოდ დიდი ხანია, ცდილობენ უპასუხონ ფილოსოფოსებმაც, ეკონომისტებმაც და საზოგადოებასაც, სიტყვის ფართო აზრით, ისინი აღელვებს — მათ შორის ჩვეულებრივ ადამიანებს. მოდერატორის რეპლიკა გულში ჩამრჩა და შემდეგ გადავწყვიტე, რომ მასში იბადება წიგნის დასახელება.

**— სომერსეტ მოემის მოთხრობაში The Happy Man შენიშნულია პირობითი ცნება „ბედნიერება“ ცალკეული ადამიანებისთვის. კიდევ უფრო რთულია განსაზღვრო, გაზომო, მით უმეტეს კიდეც უზრუნველყო იგი ერისთვის, საზოგადოებისთვის.**

— ბედნიერების პრობლემაზე დაფიქრებულან კაცობრიობის საუკეთესო გონებანი. ჯერ კიდევ IV საუკუნეში ჩვენს ერამდე უდიდესი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს ერთ-ერთი აღზრდილი პლატონი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ სხვების ბედნიერებისთვის ზრუნვის დროს ვპოულობთ საკუთარ ბედნიერებას.

ჩემმა ოპონენტმა-მოდერატორმა თითქოს დაივიწყა, რომ ბედნიერებაზე აზროვნების ესტაფეტა ფილოსოფოსებისგან აიტაცეს ეკონომისტებმაც. XVIII საუკუნეში ადამ სმიტმა, როდესაც ჩასწვდა კაპიტალიზმის შინაგან ფილოსოფიას, შექმნა ეკონომიკურ ცოდნათა სისტემა, ახსნა მისი უპირატესობა ფეოდალიზმზე. ის გონების პარადოქსულ დასკვნამდე მივიდა: როდესაც საკუთარი მოგებისთვის ზრუნავს, ყოველი ადამიანი ხელს უწყობს მთელი საზოგადოების ინტერესებსა და ბედნიერებას. „ბაზრის უხილავი ხელი“. როგორც ღვთაება, გვარწმუნებდა იგი, წყვეტს ყველა პრობლემას.

**— ესე იგი „ბაზრის უხილავი ხელი“, რის შესახებაც ამჟამად ხშირად საუბრობენ ირონიით, ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს?**

—„გონივრული ეგოიზმის“ თეორიაზე ჯერ კიდევ სმიტამდე უფრო ადრე, საუბრობდა ფრანგული წარმომავლობის ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი ბერნარდ მანდევილი (1670-1733). როდესაც ფეოდალურ ზნე-ჩვეულებებს აკრიტიკებდა და ააშკარავებდა კლერიკალიზმის პირმოთნეობას, ის ამტკიცებდა, რომ ინდივიდუალიზმი, ანგარება და სხვა ადამიანური ნაკლოვანებანი უნებლიეთ ხელს უწყობენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

**— დიახ, მაგრამ არის მეორე მხარეც. და როდესაც შინაგანი წყლულები და ფორმატის დაპირისპირებანი, რომლებიც ემყარებიან კერძო საკუთრებას და საბაზრო თავისუფლებას, გაჩნდა საკმარისად, სულ უფრო ცხადად გაისმოდა კრიტიკული ხმები მისი მისამართით.**

— XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტეკონომისტი სიმონ დე სისმონდი გამოვიდა კაპიტალიზმის სტიქიური განვითარების წინააღმდეგ, რომელსაც თან ახლავს წვრილი მეწარმეობის დაღუპვა და ხალხის გაღატაკება. იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ, როგორც ის ამბობდა, ადამიანთა ბედნიერება, საზოგადოებაში რომ არიან შეკრებილი“, სახელმწიფო უნდა ჩაერთოს პროცესში და დაუბრუნდეს წარსულს, როდესაც ყველა მათგანს ჰქონდა სიმდიდრე და იყვნენ მეტად თუ ნაკლებად კმაყოფილი ცხოვრებით. ფრანგი ჰუმანისტი იყო, თუმცა რომანტიკოსი და უტოპისტი. ისტორია უკან აღარ ბრუნდება.

**— რაღაც ამის მსგავსს, რამდენადაც ვიცი, კარლ მარქსიც წერდა!**

— „კაპიტალში“ მან ღრმად გააშიშვლა ანტაგონიზმისა და კლასობრივი უთანასწორობის ფესვები ბურჟუაზიულ წყობილებაში. მარქსი საზოგადოების პოზიტიურ წყობას უკავშირებდა იმას, რომ თითოეულის თავისუფალი განვითარება იქნებოდა ყველას თავისუფალი განვითარების პირობა. მას მიაჩნდა, რომ ეს შეიძლება მოხდეს კაპიტალიზმის დაპირისპირებათა გადაწყვეტისა და კერძო წარმოების საშუალებებზე საკუთრების ლიკვიდაციისა და წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრების შედეგად. დიდი ხნის განმავლობაში მილიონობით ადამიანს ეგონა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ძირითადი კანონი და კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ტენდენცია აგებს სწორ გზას ტაძრისაკენ. „კაპიტალის“ მრუდთარგებით მრავალი ათეული წლის განმავლობაში ცდილობდნენ აეშენებინათ კომუნისტური სამოთხე სსრ კავშირში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში.

**— მაგრამ ეს გზა, რბილად რომ ვთქვათ, აღმოჩნდა ეკლიანი, კაპიტალიზმი კი სიცოცხლისუნარიანი?**

— XX საუკუნის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კომუნისტური მოდელი არ იძლევა საყოველთაო აყვავების მოდელს, სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელობა, ადრე თუ გვიან, გარდაიქმნებოდა პარტიულ-სახელმწიფო ნომენკლატურად — ახალ მმართველ კლასად, რომელიც ექსპლუატაციას უწევს საზოგადოებას. თანაც მეწარმეობისა და კონკურენციის აკრძალვას მივყავდით მონოპოლიზმთან, იგი ამუხრუჭებდა სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესს.

**— მაგრამ დასავლეთმა გადაიღო ზოგიერთი ღირებული სოციალისტური იდეა და მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი პოზიციები.**

— ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინსმა პირველმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ჩარევის გარეშე კაპიტალიზმი კრახში აღმოჩნდება. მას თავს დაატყდა საყვედურები სოციალიზმისათვის აგიტაციაში, თუმცა მას მხოლოდ სურდა განემტკიცებინა და გაეხანგრძლივებინა ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობა. მისი მოსწავლე და მიმდევარი ამერიკელი ეკონომისტი ჯონ კენეტ ჰელბრეიტი კიდევ უფრო შორს წავიდა და დააფუძნა კონვერგენციის თეორია. მან გააბათილა მითი საბაზრო და საგეგმო მეურნეობას შორის უფსკრულის აუცილებლობის შესახებ. უფრო მეტიც, ის გამჭვირვალედ ამტკიცებდა, რომ დაპირისპირებული სისტემების ასეთი დაახლოება უკვე ხდება და სასიკეთოა ორივესთვის. ანალოგიურ თვალსაზრისს მხარს უჭერდა მისი კოლეგა ჰარვარდიდან, რუსული წარმომავლობის გამოჩენილი სოციოლოგი პიტირიმ სოროკინი.

**— თქვენი ახალი წიგნის ყველა, 59 თავის მთავარი ძაფი — ესაა ინტეგრალური საზოგადოების კონცეფცია. ხომ არ არის იგი სწორედ ამ აზრების განვითარება და გაგრძელება?**

— რასაკვირველია. ისტორიული პროცესის მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ჰარვარდის ორი მეცნიერის მიერ გამოთქმული ჰიპოთეზები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ყველაზე მეტ წარმატებებს აღწევენ ქვეყნები, რომლებიც ახდენენ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის უპირატესობათა კომბინირებას. უკანასკნელი ათწლეულების პრაქტიკამ დაადასტურა ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიმბიოზის სიცოცხლისუნარიანობა. სოციალისტური ქვეყნებიდან თავის დროზე პირველი ნაბიჯები ინტეგრალური საზოგადოებისაკენ ცდილობდა გადაედგა იუგოსლავიას, მაგრამ უკვე ქრესტომატიული მაგალითი გახდა ჩინეთი, რომელმაც 1978 წლიდან დენ სიოპინის ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და თანდათანობით დაიწყო გარდაქმნები, რომლებმაც ჩამორჩენილი და ულარიბესი ქვეყანა გამოიყვანა ზრდის, მყარი და ჰარმონიული განვითარების ყველაზე მაღალი ტემპების ტრაექტორიაზე. მის მაგალითს მიბაძა ვიეტნამმა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ასეთი ტიპის მოდელი აიღო ორიენტირად ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახეთში, და ნაწილობრივ ალექსანდრ ლუკაშენკომ ბელარუსში.

**— რუსმა რეფორმატორებმა „დემოკრატიული ცვლილებები“ ჩინელებზე გაცილებით გვიან დაიწყეს. თუმცა მათს გამოცდილებაზე თვალები დახუჭეს.**

— დიახ, „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ ავტორიტეტულ ეკონომისტებს, ჩვენსას და საზღვარგარეთისას, რომლებიც შუალედურ გზას გვთავაზობდნენ, ყური არ უგდეს. „შოკური თერაპია“ ხორციელდებოდა ვაშინგტონის კონსენსუსის რეცეპტებით. სოციალიზმის დანგრევა „საფუძვლიანად“ ნიშნავდა ბოლშევიზმს პირიქით, ხეტიალს ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ. მოახდინეს ყოფილი ზესახელმწიფოს პერეფორმირება მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის ნედლეულის პერიფერიად.



**— ჩინეთის, ვიეტნამის, ყაზახეთისა და ბელარუსის გარდა, წიგნში თქვენ დიდ ადგილს უთმობთ БРИКС-ის ქვეყნების ეკონომიკის კვლევას, რომლებსაც ასევე პრაქტიკაში აქვთ ინტეგრალური მოდელი. ინდოეთი და ბრაზილია არიან მათ რიცხვში?**

— ინდოეთი, რომელიც წარმატებით ახორციელებს მოდერნიზაციას, გახდა ჩინეთის შემდეგ მსოფლიოს მეორე სწრაფად მზარდი ეკონომიკა. ქვეყანაში ოპერირებენ ტრანსეროვნული კორპორაციებიც, ეროვნული კაპიტალიც. ამას გარდა, კვლავ მოქმედებს გეგმიური რეგულატორი, რომელიც განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს — მათი რეალიზება ხუთწლიანი გეგმების საშუალებით ხდება. შემოწმებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია — ინდოეთის ეკონომიკის სახისა და არსებობის ცვლილება.

**— რა არის ინდური მოდელის განსაკუთრებული სპეციფიკა?**

— იქ არ წასულან ჩინური „ურჩხულისა“ და აზიური „ვეფხვების“ გზით, რომლებიც იწყებდნენ იმ დარგების ექსპორტის საქონლით, რომლებიც ემყარებოდნენ იაფ და შედარებით ნაკლებადკვალიფიცირებულ სამუშაო ძალას. გამოინახა საკუთარი ნიშა საექსპორტო მომსახურებაში, ამან კი მოითხოვა განათლების მაღალი დონე — კომპიუტერული პროგრამირება და საბანკო მომსახურება. ქვეყანა დასავლეთის კორპორაციების ბეკ-ოფისი გახდა. მოვლენათა ასეთ შემობრუნებას ეხმარებოდა კარგად განათლებული კადრების არსებობა. ინდოეთში ტექნოლოგიური ინსტიტუტები ხშირად არ ჩამორჩებიან დასავლეთელ კონკურენტებს. ეს ხელისუფლების მოფიქრებული პოლიტიკის შედეგი გახდა. ამჟამად სამეცნიერო-ტექნიკური კადრების რიცხვით ინდოეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

**— ბრაზილიის მიღწევები არც ისე შთამბეჭდავია...**

— მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია. თავისუფალი გეგმებისა და პროგრამების დახმარებით ქვეყანაში განხორციელდა ეკონომიკის მოდერნიზაცია, მიღწეულია ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპები. არ ღირს დღეს ზოგიერთი მათი შემცირების დრამატიზება. მთავარია, რომ ქვეყნის სოციალურ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა უფრო დინამიკური განვითარების აღდგენას უკავშირებს როგორც საბაზრო, ისე გეგმიური რეგულატორების სრულყოფას. ბრაზილიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები მოხდა. მაგალითად, კომპანია „ემბრაიერი“ ამერიკული „ბოინგისა“ და ევროპული „ეირბასის“ შემდეგ გახდა მესამე ავიამშენებელი მსოფლიოში! ბრაზილიის საავტომობილო ინდუსტრია წელიწადში დაახლოებით ოთხ მილიონ მანქანას უშვებს, ევროპაში მხოლოდ გერმანელებს ჩამორჩება. იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური შემოსავლები, ფართოვდება დაბეჩავებული ფენების დახმარება. წინა დროსთან შედარებით დაბალ დონეზეა ინფლაცია და უმუშევრობა. თუმცა ბრაზილიის მოსახლეობის მეოთხედი დღემდე ცხოვრობს სიღარიბეში ან მის მიღმა. მაგრამ ასეთია მემკვიდრეობა. სიღარიბის მანკიერი წრე იჭიმება შაგრენის ტყავის მსგავსად.

**— როგორ ახერხებენ შერეული ეკონომიკის სახელმწიფოები სოციალიზმისა და კაპიტალიზმის უპირატესობათა არა მხოლოდ კომბინირებას, არამედ მათი ნაკლოვანებების მოკვეთასაც?**

— მოქნილი დაგეგმვის გარდა, იყენებენ საგადასახადო-საბიუჯეტო ინსტრუმენტარიებსა და სოციალურ სტაბილიზატორებს, რომლებიც ამცირებენ კონტრასტებს საზოგადოებაში და კაპიტალის განვითარებას წარმართავენ შემოქმედებითი კალაპოტით. ვიეტნამში, მაგალითად, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ ერთნახევარჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვენთან, არის მხოლოდ ერთი მილიარდერი. და ისიც იწყებდა არა სახელმწიფო საკუთრების „პრივატიზაციით“, არამედ სწრაფი მომზადების ასტრიის (ე.წ.„ლაფშის“) გამოშვებით, ახლა მუშაობს დიდი ობიექტების მშენებლობაზე.

**— ჩინეთის საფონდო ბაზრის ამჟამინდელ კრიზისზე როდესაც ვლაპარაკობთ, ინტეგრალური ქვეყნები არ არიან დაზვეული ეკონომიკური არეულ-დარეულობისაგან?**

— იდეალური საზოგადოება, როგორც მარადიული ძრავა, არ შეიძლება რომ იყოს. საბაზრო თავისუფლებათა და კაპიტალიზმის დაშვება ცისქვეშეთში იქცა გა-

ზის პედლად, რომელმაც დააჩქარა მისი ეკონომიკური ზრდის ტემპები. მანვე დღეს მიგვიყვანა საფონდო ბაზრის გადაწვასთან და მის დანგრევასთან. მაგრამ ძლიერი მაკროეკონომიკური რეგულატორები საშუალებას იძლევიან, თავი გავართვათ ნაკლოვანებებს. ლიბერალები მთელ მსოფლიოში, ჩვენებიც კერძოდ, ზეიმობენ ჩინეთის სირთულეებთან დაკავშირებით, მაგრამ ეკონომიკის ზრდის ტემპები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შენარჩუნებულია 7 პროცენტზე მაღალ დონეზე, რაც არ შეედრება საერთო მსოფლიო დინამიკას. ჩვენთან კი წელს ეკონომიკა იკუმშება არანაკლებ 4 პროცენტისა. მითითებანი სანქციებზე, სხვა საგარეო ფაქტორებზე ნაკლებად სარწმუნოა — დაცემის ტენდენცია მეოთხე წელია, ზედიზედ მოქმედებს.

**— ევროპა? არის იქ ძლიერი ინტეგრალური მოდელები?**

— კი. უწინარეს ყოვლისა, ეს სკანდინავიის ქვეყნებია, მათმა საგეგმო-საბაზრო ეკონომიკებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს.

**— რაშია განვითარების კურსის თქვენი ხედვის განსაკუთრებული თავისებურება?**

— ჩვენს თვალწინ კაცობრიობა გადადის ახალ, ანგარიშით მეშვიდე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე — ინტეგრალურზე.

**— რატომ მეშვიდე? ადრე მიაჩნდათ, რომ ისინი მხოლოდ ხუთია...**

— პირველყოფილი სათემო, მონათმფლობელური, ფეოდალური და სოციალისტური წყობილებების გარდა, მარქსი, ენგელსი ახსენებდნენ აზიურ ფორმაციას. იგი წინ უსწრებდა მონობას ძველაღმოსავლურ ხალხებში, ემყარებოდა ბიუროკრატიის ბატონობას წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დომინირების პირობებში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მასზე არაფერს საუბრობდნენ, იგი რაღაცით თავად რეალურ ბიუროკრატიულ სოციალიზმს გვაგონებდა.

**— მაშ ასე, როგორც არ უნდა იტრიალო, ინტეგრალური საზოგადოება მოდის „წმინდა“ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შემცვლელად?**

— სწორედ ასეა. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის საწყისების მოხერხებულ კომბინაციას განვითარების ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებთან მოვყავართ: ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებთან, სამართლიანობასთან, პიროვნების განვითარებასთან (ადამიანის პოტენციალისა), მოქალაქეთა სულიერი თავისუფლების ამაღლებასთან. პრაქტიკა ჯერჯერობით თეორიის წინ მიდის, რაც ხშირად მომხდარა.

**— მაშასადამე, „ისტორიის დასასრული“ ფრენსის ფუკუიამას მიხედვით უქმდება?**

— თეზისი კაპიტალიზმის „მარადიულობის“ ან „ბუნებრიობის“ შესახებ შორსაა რეალობისაგან, არაკორექტულია აზრიც სოციალიზმის „ხელოვნურობის“ ან „ხელთქმნილობის“ შესახებ. ორივე ფორმაცია, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი უპირატესობანი, სავსებით ობიექტურია და ჰქონდათ (და ჯერ კიდევ აქვთ) ადგილი კაცობრიობის ისტორიაში არა შემთხვევითი. მაგრამ ისინი თითოეული ცალ-ცალკე, დაპირისპირებულია, მყარ თანამოქმედებას მოითხოვენ. ყველაზე წარმატებულმა და ჰარმონიულად განვითარებულმა ქვეყანამ უკვე მიიღო ინტეგრალური სისტემა ცხოვრების მოწყობის საფუძვლად.

**— მნიშვნელოვანია განა ასეთი დასკვნა ჩვენთვის და თუ კი — რით?**

— შეცდომით განხორციელებული რეფორმების გამო რუსეთი კოორდინატ ბიუროკრატიულ-ოლიგარქიული კაპიტალიზმის სისტემაში აღმოჩნდა. ინტეგრალური საზოგადოება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისა და ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული შეცვლისათვის შუქურა უნდა გახდეს. ასეთი სტრატეგიის რეალიზაციისა და მასთან რევოლუციური გზით გადასვლის შესაძლებლობა ჯერჯერობით შენარჩუნებულია, თუმცა დრო ლიმიტირებულია. დაყოვნებას შეიძლება ბევრი რამ მოჰყვეს — რევოლუციური აფეთქება და ქვეყნის მორიგი გადახრა რომელიმე სხვა სწორი გზიდან.

**— გამოდის, რომ მარქსი მართალი იყო ბევრ რამეში, როდესაც წინასწარმეტყველებდა კაპიტალიზმის დაღუპვას და მიუთითა სოციალისტურ ტენდენციაზე?**

— მაგრამ კომუნიზმი აღმოჩნდა უტოპია, რომელიც მსოფლიო პრაქტიკამ ვერ დაადასტურა. „უმაგალითო“ სოციალიზმმაც კრახი განიცადა, ვაი რომ, არა შემთხვევით. ის ქვეყნებიც, რომლებიც განაგრძობენ განვითარებას მთლიანად მის პლატფორმაზე მყოფნი, არც თუ შესაშურ ვითარებაში არიან. იქნებ, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის საუკეთესო თვისებების სამბიოზი — საზოგადოებრივი განვითარების ყველაზე პერსპექტიული შტოა.

**— თქვენს წიგნში წარმოდგენილი სურათი შორდება კონცეფციებს „პოსტინდუსტრიალიზმისა“ და ზოგიერთ სხვა პოპულარულ თეორიებს.**

— კატეგორიები „კაპიტალიზმი“, „სოციალიზმი“ და „ინტეგრალური წყობილება“ შეიცავენ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანებს შორის საზოგადოებრივ ურთიერთობათა დახასიათებას. განსაზღვრებები „პოსტინდუსტრიული“, „ტექნოტრონული“ ან „ინფორმაციული საზოგადოება“ ახდენენ ამ არსებითი მხარისაგან აბსტრაგირებას. თუ თანმიმდევრული ვიქნებით, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ ცნებების „კაპიტალიზმი“ და „სოციალიზმი“ მართლმორწმუნეობა. ერთი სიტყვით, ლოგიკური ხაზი: კაპიტალიზმი, სოციალიზმი, პოსტინდუსტრიალიზმი ვერაფრით ვერ ლაგდება.

**— ინტეგრალურ ფორმაციაში არის შინაგანი წინააღმდეგობრიობა. ხომ არ გამოდის აქედან არასიმყარე, შესაძლებლობა — გადავეშვათ ან კაპიტალიზმში, ან სოციალიზმში?**

— მსგავსი საფრთხე, ალბათ, არსებობს. მაგრამ დროის ქარი მაინც აფრიალებს იალქნებს სწორედ ასეთი ფორმაციით. ადამიანის ბუნებაში სოციალური საწყისები არსებობს ეგოიზმით. ადამ სმიტს მიაჩნდა, რომ მხოლოდ უკანასკნელის დახმარებით მოდის საზოგადოება იდეალური მდგომარეობისაკენ. მარქსი, ენგელსი და მათი მიმდევრები, პირიქით, აქცენტს სამართლიანობისა და სოციალურ ასპექტებზე აკეთებენ. ისტორია კი გვიჩვენებს, რომ ადამიანის ბუნების ორ დაპირისპირებულ, მაგრამ რეალურ მხარეს შორის ბალანსის არსებობა უპასუხებს საერთო ცხოვრების ოპტიმალური მოდელის ძიების ამოცანებს.

**— თქვენი ნათქვამიდან გამოდის ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. თუმცა არც ერთ ქვეყანას იგი საფუძვლად არ მიუღია. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— ამის მთავარი დაბრკოლება — იდეოლოგიური შეზღუდვებია. ბაზრის თაყვანისმცემელ დასავლეთს იგი არ სჭირდება. მარქსიზმის მიმდევრებს, როგორც რწმენა, იგი, მით უმეტეს, ხელს არ აძლევს.

**— რა გვიშლის ხელს, ეს რომ ჩვენ გავაკეთოთ რუსეთში, რომელმაც არაერთგზის გვიჩვენა ისტორიული ნოვატორობა?**

— 30 წლის წინათ ჩვენ გარდაქმნის (ე.წ. „პერესტროიკის“) აუცილებლობა გამოვაცხადეთ და ბიუროკრატიული სოციალიზმის ნაცვლად მიზნად დავისახეთ შეგვექმნა მისი დემოკრატიული ვარიანტი. ამის ნაცვლად ოლიგარქიული კაპიტალიზმის სისტემაში აღმოვჩნდით. სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლა, მით უმეტეს ოლიგარქიულში, შემდეგ კი ბიუროკრატიულ-ოლიგარქიულში — შეცდომად უნდა ვაღიაროთ. ახალი მოთხოვნადი ცვლილებების მიზნად უნდა დავასახელოთ ინტეგრალური საზოგადოება.

**— ეს არის სწორედ გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ?**

— ინტეგრალური მოდელი საყოველთაო სამოთხის გარანტიას არ იძლევა. ასეთი რამ, როგორც უკვე ითქვა, არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. მაგრამ უფრო სწორ გზას ღირსეული და ბედნიერი ცხოვრების მიღწევისათვის დედამიწის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მე არ განვიხილავ.

**— ჩვენ ეკონომიკის კრიზისი გვაიძულებს, ვილაპარაკოთ ახალი ეკონომიკური მოდელის განვითარებისა და განმტკიცების პარადიგმის შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი გაზეთი ამის შესახებ ხშირად წერს. თქვენ და თქვენი კოლეგები მას გვთავაზობთ. უარყოფს ვინმე მას?**

— არა, მაგრამ იქ, ზევით, თითქოს არაფერი ესმით ან ვერ ამჩნევენ.

ესაუბრებოდა
**სერგეი ვოლოდინი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

---

**ლექსი — სამომავლო გულისთქმა!**

**გურამ ჭავჭანიძე**

# იქნებ ქვითინს დუხუმს!..

## ტრიოლეტი

მთელი სიცოცხლე შენ დაგეძებდი,
რომ შენს თვალებში მეცქირა მარტო.
ბედისწერა ხარ თუ ჩემი ბედი,
მთელი სიცოცხლე შენ დაგეძებდი.
განა სხვა ვინმეს დავიბედებდი,
უბრალოდ, გული მაქვს ასე ფართო.
მთელი სიცოცხლე შენ დაგეძებდი,
რომ შენს თვალებში მეცქირა მარტო.

## მინდა მიყვარდე

„გამიჯნურება მჩვევია ლექსად“
ლადო ასათიანი

მინდა მიყვარდე, როგორც არავინ,
სულს მინათებდეს შენი მშვენება,
მინდა, შენს ჩრდილში ჩავდგა კარავი,
უშენოდ აღარ მომესვენება.

რომ სიყვარული, ვით მზე თაკარა,
გულში ულევად სითბოს აქსოვდეს,
მთის წყაროსავით იყოს ანკარა
და არ გათავდეს არც არასოდეს.

სიავე ფიქრად არც გამივლია,
მხოლოდ ტრფობა მკლავს, არდანახული,
შენი ტუჩები უფრო ტკბილია,
ვიდრე ბადაგი კარდანახული.

თუ შემიყვარდი, როგორც არავინ,
შენი ხატება არ გამეცლება,
არ დამინგრიო ჩემი კარავი,
მე ხომ უშენოდ არ გამეძლება.

## შენი მზე გადამდებია

თამარ ლომიძეს

თუ მოგეფერა ჩემი „აპრილი“,
მე შემეყარა შენი მშვენება,
დავდივარ გულში ისარგაყრილი
და არც კი ვიცი, რა მეშველება.

აპრილი მართლაც გადამდებია,
ვის არ შეჰყრია აპრილის დარდი,
მე კი შენი მზე გადამდებია,
ახია ჩემზე, თუ შემიყვარდი...

## დიდი მგოსნის გახსენება

(აკაკი წერეთლის საიუბილეოდ)



ეძებდი, თანაც ჰკვირობდი:
„ვერ ვნახე, დაკარგულიყო,“
გულამოსკვნილი სტიროდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?“

საქართველოში სულ იყო
ძებნა სხვა საქართველოსი,
მაგრამ, ვაი, რომ სულიკო
არც დღეს ჩანს საქართველოში.

სხვა საქართველო კი არა,
რაც იყო ისიც დავკარგეთ.
მიტომ მაქვს გულში იარა,
ქვეყანა რომ ვერ განვკარგეთ.



„ღრუბლებში ამაღლებულა,
როგორც ოცნება კაცისა“,
მაგრამ ვერ გალაღებულა,
არც მიწისაა, არც ცისა.

შენი დაფი და ნაღარა,
თუმცა კვლავ უხმობს გმირებსა,
მაგრამ რომ სჩანან აღარა,
მიტომაც ულხინთ ვირებსა.

მიტომ ვართ დღესაც უმუხტო,
დღესაც გვდის ცრემლი ცხარეო,
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

* * *

ჩემო სამშობლო, ჩემო მთა-ველო,
შენთვის რამდენი ცრემლი მდენია,
მაგრამ სად არი სხვა საქართველო,
სადაც არა სწამთ შოთას გენია?..

ღმერთის წილხვედრო მიწის მტკაველო,
შენთვის უვალი გზებით მივლია,
მაგრამ სად არი სხვა საქართველო,
სადაც მეორედ მოკლეს ილია?..

## რამ დაგაგლახა

ფურთხის კი არა, მეტის ღირსი ხარ,
შენ, საქართველოვ, პატივაყრილო,
ეს რა იუდას გზებით მიდიხარ,
ერთ დროს ერო და ახლა — ნახირო.
ნანა ცინცაძე.

ისევ შეგვზარეს „ციხის კადრებმა“,
სამშობლოვ, ნუთუ ეს გეკადრება?
ან როგორ ითმენ ნაძირალს ამდენს,
იმ ავკაცობის დამკვეთს და ჩამდენს?

რამ დაგაგლახა, ხალხო, ქართველო,
განა, ეს იყო შენი მისია?
მართალი უთქვამთ, ეს საქართველო
„ფურთხის კი არა, მეტის ღირსია.“

## სავალალოა დღეს ჩვენი ყოფა



სავალალოა დღეს ჩვენი ყოფა,
თავი აღარსად გამოგვეყოფა,
ნუთუ იმდენი ცოდვა გვემართა,
რომ ღირსები ვართ, რაც დაგვემართა?

შურმა და მტრობამ დაგვრია ხელი,
არც ჩოხა გვშველის, და არც მერდინი,
ვინ იცის, ჩვენი მოსისხლე მტერი
„სიცილით კვდება ჯალალედინი.“

## ლამის...

ლამის არი, დაილიოს სულიერი მარაგი,
ო, რამდენი სიბილწეა, სიავე და თალხი,
აფსუს, ჩემი საყვარელი დედა
თბილისქალაქი,
აფსუს ჩემი ამაყი და თავმომწონე ხალხი.

## აფსუს!

აფსუს ძველი თბილისობა,
აფსუს ძველი თბილი სიო,
აფსუს ძველი თბილისლობა,
აფსუს ძველი თბილისიო.

## იმდენს იზამთ...

ადრეც ბევრი დაგვიშავდა,
ახლაც ბევრი რომ შავდება?
იმდენს იზამთ, რომ წაშავდა,
ისევ უკან მოშავდება!..

## დროზე თუ გაშავდებოდა...

დროზე თუ გაშავდებოდა,
განა რა დაშავდებოდა?
არც არაფერი, პირიქით,
ვეღარსად წაშავდებოდა...

## ყურმოკრული დიალოგი



– რატომ არის ნახევარი
საქართველო გაქცეული?
– იმიტომ, რომ ნახევარი
ჯერ არ არის დაქცეული.

* * *

ვინც ავკაცების გვერდით დადგება,
იმისგან კაცი აღარ დადგება.

* * *

ვის უნდა თქვენი თეოკრატია,
თუ ოცნებაშიც ვერ ავშენდებით?
ან ვის რად უნდა დემოკრატია,
თუ გავწყდებით და გადავშენდებით?!

დამოუკიდებელი ექსპერტი

# ეჭვების მოსახსნელად ხელისუფლებისთვის უმჯობესი იქნებოდა „გაზპრომთან“ ურთიერთობები რაც შეიძლება გამჭვირვალე გამხდარიყო



**საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტს ზაალ ანჯაფარიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ზაალ, როგორ დაახასიათებდით 2015 წლის შემოდგომაზე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენებს და მიმდინარე პოლიტიკური პროცესის დინამიკას?**

— ქვეყანა წინასაარჩევნო რეჟიმში შედის. შესაბამისად, წინასაარჩევნო რეჟიმი ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური პროცესების დინამიკაზე. ეს აისახება კიდეც მოსახლეობის განწყობაზე. თუმცა, მე ვერ ვიტყოდი, რომ ხელისუფლების პოზიციები კრიტიკულად შესუსტდა, რადგანაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ამ ხელისუფლების ნდობა ჯერ კიდევ აქვს, იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ვერ ხედავენ მათთვის მისაღებ ალტერნატიულ ძალას, ხოლო „ნაცმოძრაობა“ ვერ ჩაითვლება ხელისუფლების ალტერნატივად.

შეიძლება ითქვას, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებისთვის მაშველი რგოლის როლსაც ასრულებს. მხედველებაში მაქვს ის, რომ ხელისუფლებას ოპონენტად დისკრედიტებული პოლიტიკური ძალა ჰყავს. ხელისუფლების საინფორმაციო პასიურობა რჩება მის სისუსტედ. ფაქტია, რომ ეს სისუსტე ვერ გამოასწორა, ესეც გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის შესუსტებული ხელისუფლების პოზიციები. ხელისუფლება რომ უფრო აქტიურ საინფორმაციო პოლიტიკას აწარმოებდეს, შესაძლოა, მას დღეს არ ჰქონდეს ბევრი ისეთი პრობლემა, რომელთა აცილება შესაძლებელი იყო, და რომლებიც მის წინაშეა დაგროვილი.

ასეა თუ ისე, 2015 წლის შემოდგომაზე პოლიტიკურ დღის წესრიგს ძირითადად ორი პოლიტიკური ძალა — კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ განსაზღვრავს. სხვა სერიოზული პოლიტიკური ძალა ჯერ ასპარეზზე არ გამოჩენილა. ვსაუბრობ ისეთი პოლიტიკური ძალის გამოჩენაზე, რომელიც ახალ პოლიტიკურ დღის წესრიგს შექმნიდა. ამის სუსტი მცდელობები აქვს ირაკლი ალასანიას პარტიას. ჩემი დაკვირვებით, მათ ეს მაინცადამაინც კარგად ვერ გამოსდით, ვინაიდან ხშირად იყენებენ თავს უხერხულ მდგომარეობაში იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ექმნება განცდა, რომ „ნაცმოძრაობასთან“ თანამშრომლობენ.

ჩემი აზრით, 2015 წლის შემოდგომაზე პოლიტიკური ცხოვრების დინამიკაში შესამჩნევად მნიშვნელოვანი და სერიოზული არაფერი ჩანს. უპირველესად ვგულისხმობ იმას, რომ პოლიტიკურ სცენაზე არ გამოჩენილან ახალი პოლიტიკური აქტორები. პოლიტიკურ ველზე ძირითადად ორი ძალა — კოალიცია და „ნაცმოძრაობაა“. თუმცა, შეინიშნება ერთი ტენდენცია — გარკვეულ პოლიტიკიურ წრეებში შეიმჩნევა განწყობა, რომ საკუთარი თავი შესთავაზონ რუსეთს, როგორც მათი ინტერესების გამტარებლებმა. ამ მხრივ საგულისხმო გახლდათ ჯონდი ბაღათურიას ვოიაჟი რუსეთში. არჩევნების მოახლოების კვალობაზე არ გამოვრიცხავ გარკვეული პოლიტიკური ძალების გააქტიურებას, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების დისკურსის შემოტანას შეეცდებიან.

ჩემი აზრით, მთავარი საკითხები, რომელთა გარშემოც უახლოეს მომავალში იტრიალებს პოლიტიკური ცხოვრება, იქნება საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების თემა. შეიძლება ითქვას, რომ ამ თემამ მაკონსოლიდირებელი როლიც კი შეასრულოს სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებს შორის. ასევე, აქტუალური იქნება „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული საკითხები, რომელზეც პარლამენტშიც გაიმართა დებატები. როგორც ჩანს, სასამართლოს დასრულებამდე ეს თემაც ასევე იქნება აქტუალური და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

**— თბილისში, „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ გამოსვლისას პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა — „ჩვენი წარმატება დამოკიდებული იქნება ჩვენს უნარზე, სრულად გამოვიყენოთ „აბრეშუმის გზის“ შესაძლებლობები.“ მისასალმებელია, რომ პრემიერს სწორად ესმის, თუ რაზეა დამოკიდებული დღეს ქვეყნის წარმატება, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენად ახერხებს ან ავლენს ხელისუფლება სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით იმას, რომ ქვეყანამ სრულად და ეფექტურად გამოიყენოს არა მარტო „აბრეშუმის გზის“, არამედ ევროპული, მათ შორის თავისუფალი ევროპული ბაზრის შესაძლებლობები? თქვენი კოლეგის ნონა მიხელიძის აზრით, რომელიც ახლა რომში საქმიანობს, — „ევროპიდან დანახული საქართველო ასეთია: სახელმწიფო, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია რიგ საჭირბოროტო საკითხებზე პასუხი, ან აქვს განვითარების მცდარი ხედვა...“**

— პრემიერმა სწორად დასვა აქცენტები „აბრეშუმის გზის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობაზე. თბილისში ჩატარებული „აბრეშუმის გზის“ ფორუმი საქართველოსთვის იყო საკუთარი საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენის და საერთაშორისო მოთამაშეების საქართველოთი დაინტერესების კიდევ ერთი საშუალება. ამიტომაც, ყოველი ასეთი ფორუმი ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე, როდესაც ერთგვარი შიმშილია საგარეო ინვესტიციების კუთხით.

**— „გაზპრომის“ თემა ერთ-ერთ აქტუალურ თემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ „გაზპრომის“ თემაზე არაერთი განმარტება გააკეთა, ვნებათაღელვა მაინც არ ცხრება. საკითხისადმი ინტერესი იმანაც გაამძაფრა, რომ პრემიერმა ღარიბაშვილმა პრეზიდენტს უარი უთხრა, უშიშროების საბჭოს სხდომას ენერგოუსაფრთხოების საკითხზე ემსჯელა. და ეს მაშინ, როცა ამ თემაზე თავად პრემიერისა და ენერგეტიკის მინისტრ კალაძის განცხადებები ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავდებოდა. მინისტრი დივერსიფიკაციაზე საუბრობდა, პრემიერი კი — მხოლოდ „გაზპრომიდან“ კომერციული გაზის შეძენაზე. პრეზიდენტის ოფისსა და მთავრობას შორის ურთიერთობას, სხვათა შორის, უფრო მთავრობის გამოისობით ვერც საქმიანსა და ვერც სახელმწიფოებრივს რომ ვერ უწოდებ, ფაქტია, მაგრამ, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ მთავრობა უარს ამბობს, უშიშროების საბჭომ განიხილოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები?**

— „გაზპრომის“ თემაზე ვნებათაღელვა არ ცხრება იმიტომ, რომ ვინც ამაზე განგაშს ტეხს, კარგად იციან, რას წარმოადგენს „გაზპრომი“ და რა მიზნები შეიძლება ამოძრავებდეს მას საქართველოსთან მიმართებაში. ყველამ კარგად იცის, რომ „გაზპრომი“ რუსეთის ხელისუფლების ხელში პოლიტიკური შანტაჟის მძლავრი ინსტრუმენტია. თუმცა, ჩემი დაკვირვებით, ხელისუფლების ოპონენტებმა ეს თემა საღი მსჯელობის სფეროდან პოლიტიკური სპეკულაციის სფეროში გადაიყვანეს, ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით. თუ ამ საკითხს ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით მიუდგებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებები არ იყო საკმარისი და დამაჯერებელი.

როდესაც გაზის დივერსიფიკაციაზე საუბრობ, გამოდის, რომ ახლანდელ მომწოდებელ აზერბაიჯანთან პრობლემები გაქვს. ბუნებრივია, რომ აზერბაიჯანში ამ თემაზე კითხვები გაჩნდებოდა. დიდი ალბათობით, სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და ეჭვების გასაფანტავად სასწრაფოდ ჩავიდა ბაქოში პრემიერი ღარიბაშვილი. აზერბაიჯანი ჩვენ მეტ-ნაკლებად შეღავათიან ფასში გვაწვდის გაზს და ხელისუფლებას საზოგადოებისთვის შესაძლებლობის ფარგლებში მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა იმაზე, თუ რამ განაპირობა „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების დაწყება, ამის რა აუცილებლობა იყო და ამისგან რას შეიძლება ველოდეთ.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვერ განიხილა უშიშროების საბჭომ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების საკითხი. ეს შეიძლება, უკავშირდებოდეს იმას, რომ თუ ეს საკითხი უშიშროების საბჭოზე გავიდოდა, საზოგადოების თვალში გამოჩნდებოდა, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების დაწყებით მთავრობა ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემას უქმნის. ეს კი მთავრობას პოლიტიკურად ხელს არ აძლევს.

თავად ხელისუფლების ინტერესში უნდა იყოს, რომ განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში ყველა ეჭვი მოხსნას მის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. „გაზპრომთან“ გამართული მოლაპარაკებები ძალაუნებურად იწვევს ასოცირებას იმისა, ხომ არ იცვლება ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ვექტორი. ეჭვების მოსახსნელად ხელისუფლებისთვის ყველაზე კარგი საშუალება იქნებოდა, „გაზპრომთან“ ურთიერთობები რაც შეიძლება გამჭვირვალე გახდეს. თუ ხელისუფლებაში ამას მიხვდებიან, კარგი იქნება, თუ არ მიხვდებიან, საკუთარ თავს მეტ პრობლემას შეუქმნიან.

**— „რუსთავი-2“-ის თემა სულ ახალ და ახალ გაგრძელებებს იძენს. ისეთი პირი უჩანს, რომ ქიბარ ხალვაშის უკან არა ხელისუფლება, როგორც ამას „ნაციონალები“ ამტკიცებენ, არამედ თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აღმოჩნდეს. ცალკე საუბრის თემაა მოსამართლე ურთმელიძის წინააღმდეგ ტელევიზიის მიერ დაწყებულ კომპანიაზე სახელისუფლო ორგანოების მყისიერი რეაგირება. მხედველობაში მაქვს მოსამართლის დედაზე საქმის 13 ოქტომბერს აღძვრა. ამ იწილო-ბიწილოში მტყუან-მართლის გარჩევა მართლაც ურთულესი საქმეა, მაგრამ უდავოა, რომ დღეს ეს ყველაფერი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. „რუსთავი-2“-ის თემაზე განცხადების მიღებაზე პარლამენტშიც გაიმართა დისკუსია. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და, სავარაუდოდ, რა გავლენას ახდენს იგი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე?**

— „რუსთავი-2“-ის პრობლემის ირგვლივ მართლაც ბევრი სპეკულაცია და ემოცია დაგროვდა. ხშირად, საკითხების განხილვა, რაც უკავშირდება ამ ტელეკომპანიის პრობლემებს, მიმდინარეობს ემოციების ფონზე და აშკარაა ისიც, რომ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა და პოლიტიკური ძალა, ვისთანაც ისინი ასოცირდებიან, ასევე საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციები აქტიურად ცდილობენ, „რუსთავი-2“-ის წილებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავიდან პოლიტიკური სკანდალი გამოაცხონ.

„რუსთავი-2“-ს ჰყავს დიდი აუდიტორია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს აუდიტორია მას ენდობა. საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში ამ ტელეკომპანიის მფლობელებზე არსებობს ჩამოყალიბებული აზრი. როგორც ვხედავთ, მათ ვერ მოახერხეს, რომ საზოგადოებრივი პროტესტი აეგორებინათ „რუსთავი-2“-ის ირგვლივ. მაინცადამაინც ბევრი ადამიანი არ გაქცეულა ბანკებში, რომ „რუსთავი-2“-ისთვის მხარდაჭერისა და სოლიდარობის ნიშნად ფული ჩაერიცხა.

ასე რომ, ამ პროცესებში მართლაც ძნელია მტყუან-მართლის დადგენა. დღეს მთავარი საკითხია, რეალურად დგას თუ არა „რუსთავი-2“ გაკოტრებისა და მაუწყებლობის შეწყვეტის წინაშე. ამას ამტკიცებენ ტელეკომპანიის წარმომადგენლები. მათ განცხადებებს ვერ ვენდობი, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ და ამ საკითხს ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად იყენებენ. მხოლოდ დამოუკიდებელმა შემფასებელმა უნდა დაადგინოს, არის თუ არა ტელეკომპანია გაკოტრების წინაშე, ეწურება თუ არა მას ზოგადად ნორმალური ფუნქციონირების რესურსები, რის გამოც შეჩერდებოდა მაუწყებლობა და არის თუ არა ეს კავშირში სასამართლო დავასთან და მოსამართლის გადაწყვეტილებასთან.

ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას. სასამართლოს განჩინება ნათელს მოჰფენს, თუ რასთან გვაქვს საქმე. ის, რომ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული ისტორია გავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, უდავოა. ამ საკითხმა კარგა ხანია, შეიძინა პოლიტიკური ელფერი. ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოცხადდება, ეს საკითხი ყოველთვის იქნება პოლიტიკური დისკუსიების ცენტრში. არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულმა ძალებმა ეს თემა ქვეყანაში პოლიტიკური მღელვარების ინიცირებისათვის გამოიყენონ.

**კობა ბენდელიანი**

## დედამიწის ზურგზე



**საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში ავტოკატასტროფაში 40-ზე მეტი კაცი დაიღუპა**

**კიდევ ხუთი ცოცხალი გადარჩა, მიიღეს მსუბუქი ტრავმები. ტურისტებიანი ავტობუსი და სატვირთო ავტომანქანა პირისპირ შეეჯახნენ ერთმანეთს ადგილობრივი დროით 7 საათსა და 30 წუთზე. ავარია ქალაქ ლიბურნის მახლობლად მოხდა.**

* * *

**„ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებმა გაბერეს პრეზერვატივები, რათა დაპირისპირებოდნენ რუსულ ავიაციას**

**ქსელში გაჩნდა ვიდეო „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების ახალი თავდაცვითი საშუალებების დემონსტრაციით. მათ გაბერეს და ცაში გაუშვეს სირიის ირბილის თავზე პრეზერვატივების დიდი ოდენობა, რომლებსაც მიაბეს ასაფეთქებელი მოწყობილობები.**

* * *

**ბრიტანეთის დაზვერვა ჯერ კიდევ 60 წლის წინათ ავრცელებდა გაფრთხილებას მოსკოვის რეაქციის შესახებ სირიაში რეჟიმის შეცვლის მცდელობის შესახებ**

**სპეცსამსახურების 1957 წლის სექტემბერში შედგენილ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ სირიის რეჟიმის ჩამოგდებას მოსკოვი შეაფასებს როგორც სერიოზულ ჩავარდნას მისთვის ახლო აღმოსავლეთში. სსრ კავშირის რეაქცია ამ შემთხვევაში იქნება „ძლიერი და გადამწყვეტი“.**



* * *

**კლინტონმა აღიარა თავისი პასუხისმგებლობა ბენგაზში ამერიკელი დიპლომატების დაღუპვის გამო**

**აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გამოვიდა კონგრესში მოსმენაზე 2012 წელს ლიბიაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში თავდასხმის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პირადად ხელმძღვანელობდა უშიშროების საკითხებს, მაგრამ ყველა ტერორისტული აქტის თავიდან აცილება შეუძლებელია.**

* * *

**უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში უძლიერესი გრიგალი ემუქრება მექსიკას ათმეტრიანი ტალღებით**

**„პატრისია“, რომლის სიჩქარეც 215 კილომეტრია საათში, შეფასებულია, როგორც გრიგალი საფირ-სიმფსონის შკალით მეოთხე კატეგორიად (ხუთიდან). ორი დღე-ღამის განმავლობაში ოთხ შტატში შეიძლება მოვიდეს ნალექების ნახევარწლიანი მარაგი.**

* * *

**ობამამ გააუქმა სამხედრო ბიუჯეტი უკრაინის იარაღისათვის 300 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ**

**ამის მიზეზი გახდა მიწერილი სამხედრო ხარჯების ზრდა 900 მილიარდი დოლარით. რესპუბლიკელებს, რომლებმაც შესთავაზეს ასეთი პროექტი, კონგრესის ორივე პალატაში ჰყავთ უმრავლესობა, მაგრამ, სავარაუდოდ, ხმები არ არის საკმარისი, რომ დაძლიონ პრეზიდენტის ვეტო.**



◉ საგანი „მე და საზოგადოება“

# საპატრიარქოს განათლების ცენტრი აპროტესტებს

**საპატრიარქოს განათლების ცენტრი საგნის „მე და საზოგადოება“ ფართო განხილვას მოითხოვს. როგორც ცენტრში აცხადებენ, აუცილებელია ამ განხილვაში ჩაერთონ მშობლები, ფსიქოლოგები, მეცნიერები, საზოგადოების ფართო მასები.**

**როგორც პრესკონფერენციაზე დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა, მათთვის ცნობილი გახდა პედაგოგთა გადამზადების სახელმძღვანელოები, რომელიც შეიცავს ისეთ სწავლებას, რომელიც ოჯახისა და ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ არის მიმართული. დეკანოზმა ანდრიამ და დეკანოზმა ბიძინამ მედიას საპატრიარქოს განათლების ცენტრის განცხადებაც გააცნეს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:**

„ბოლო პერიოდში, განათლების სამინისტროს ინიციატივით შემოტანილმა საგანმა გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. იმისთვის, რომ დაზუსტდეს საპატრიარქოს სასწავლო ცენტრის პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით და იმისთვის, რომ უფრო მეტად მოხერხდეს საზოგადოების ჩართვა ამ საგნის განხილვაში, საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი აკეთებს განცხადებას.

საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩართული იყო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული საგნის „მე და საზოგადოების“ განხილვაში. საგნის სტანდარტში აისახა ჩვენი კომიტეტის ზოგიერთი რეკომენდაცია, თუმცა მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ გაცილებით სერიოზულ პრობლემებთან გვაქვს საქმე, რომელთა გაცნობაც საზოგადოებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია. სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებულია 12-გვერდიანი ამონარიდი საგნის სტანდარტიდან, რომელიც უწყინარი სახისაა. სტანდარტის სრული სამუშაო დოკუმენტი, რომელსაც განვიხილავდით, 80-გვერდიანი მასალა იყო და ის ფართო მკითხველისთვის ახლა უკვე მიუწვდომელია. ვრცელი ვარიანტი შეიცავს დაუზუსტებელ და არაერთმნიშვნელოვან ტერმინოლოგიას და ცნებებს, რაც მრავალ კითხვას ბადებს. აღმოჩნდა ისიც, რომ უკვე მომზადებულია ამ საგნის სახელმძღვანელოებიც, ანუ შემუშავებულია ის მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდნენ ეს პედაგოგები. თავად სტანდარტზე მუშაობა მართალია გრძელდება მაგრამ პედაგოგთა გადამზადების სახელმძღვანელოები უკვე დასრულებულია და სწორედ ეს წიგნებია უფრო დიდი საშიშროების შემცველი. მათში გაცხადებულია თუ სინამდვილეში რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს საგანი „მე და საზოგადოება“.

ძალიან სამწუხაროა, რომ **ეს საგანი მიმართულია ოჯახისა და ოჯახური ღირებულებების წინააღმდეგ. მიგვაჩნია, რომ მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებისადმი მოთხოვნა, რომ მათ ისაუბრონ სახლში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, თანაკლასელებმა კი მისი მონათხრობი გაითამაშონ და ეს ყველაფერი საერთო მსჯელობის საგნად აქციონ, ოჯახის ინტერესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული.** შეიძლება თუ არა მოსწავლეს ავალებდნენ, რომ ოჯახის კონფლიქტთან ან ოჯახის რაიმე სხვა ნაკლოვანებასთან დაკავშირებით თავისი ფანტაზიითაც მოიგონოს ამბები, რათა შემდგომ მისი კლასში ინსცენირება მოახდინონ. ეს ხომ მშობლებისადმი პატივისცემას დააკარგვინებს მოზარდს და საერთოდაც უარყოფითად განაწყობს უფროსების მიმართ.

პედაგოგთა გადამზადების წიგნებში გამოკვეთილია გენდერის თეორიის გავლენა, რომელიც ოჯახურ ტრადიციას, მშობლების და საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს ბავშვებზე ერთგვარი ძალადობის ინსტრუმენტად მიიჩნევს, რაც თავისუფალი საზოგადოების განვითარების დამაბრკოლებლად წარმოჩნდება. ამ თეორიის გამზიარებლები მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს სტერეოტიპების, ანუ ოჯახში და საზოგადოებაში არსებული ტრადიციული შეხედულებების დანგრევა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა. ხოლო თუ რას ნიშნავს ცხოვრების ჯანსაღი წესი, განმარტებულია პედაგოგთა გადამზადების სახელმძღვანელოებში. ამავე სახელმძღვანელოში განმარტებულია მათ შორის უსაფრთხო სექსი.




**სტანდარტში ნახსენები ყოველგვარი განსხვავებულობის მიმღებლობის უნარი, რაც ბავშვმა უნდა შეიძინოს, პედაგოგთა წიგნებში უმთავრესად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მიმღეობას გულისხმობს, რისი დანერგვაც შესაბამისი სავარჯიშოებითა და აქტივობებით არის გამყარებული.** განსხვავებულობის მიმღეობის უნარი არ შემოიფარგლება იმით, რომ ბავშვი არ იყოს აგრესიული სხვა ადამიანის მიმართ, არამედ გულისხმობს იმას, რომ მან ნორმად, ნორმალურ მდგომარეობად მიიღოს ე.წ. სექსუალური უმცირესობების ცხოვრების წესი. **პედაგოგთა სახელმძღვანელოს მიხედვით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს ბავშვს ჩაუნერგოს, რომ ქორწინებამდე კავშირიც და ერთსქესიანთა კავშირი ნორმალურ ოჯახს წარმოადგენს. თუ საგნის სტანდარტში ბავშვი ვალდებულია ითამაშოს ოჯახის წევრებისა და მეზობლების როლები, პედაგოგთა სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ მათ ლესბოსელის და მეძავის როლებიც უნდა შეასრულონ და როლური თამაში მოსწავლის შეფასების შკალაში შედის.**

სათქმელი სხვაც ბევრია, აქ მხოლოდ ძირითად პრობლემებს შევეხეთ. ესეც საკმარისია იმის წარმოსაჩენად თუ რა რეალობასთან გვაქვს საქმე. დღეს არსებული სახით ეს არის საგანი, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანულ პრინციპებს, ასევე ზოგად ადამიანურ პრინციპებს. თუმცა, მივიჩნევთ, რომ შეფასებები მხოლოდ ჩვენგან არ უნდა გაკეთდეს. აღნიშნული საგნის სტანდარტის და პედაგოგთა სახელმძღვანელოს განხილვაში აუცილებელია ჩაერთონ მშობლები, მეცნიერები, ფსიქოლოგები და საერთოდ, საქართველოს საზოგადოების ფართო ფენა. ამ განცხადების მიზანიც ეს არის, რომ მოხდეს საზოგადოებრივი განხილვა“, – ნათქვამია საპატრიარქოს განათლების ცენტრის განცხადებაში.

განცხადების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული სახელმძღვანელოები შესაძლებელია საპატრიარქოს ვებ გვერდზე გამოქვეყნდეს.

◉ ალიან-ჩალიანი

## თერგისგან ჯებირები დაგვიცავს

**საქართველოს** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ მდინარე თერგის კალაპოტში დამცავი ჯებირი ააშენა. დასრულებული სამუშაო მინისტრის მოადგილემ ეკა სეფაშვილმა და კომპანიის დირექტორმა იოსებ ოზაშვილმა დაათვალიერეს.

თერგის კალაპოტის გამაგრება დარიალის ხეობაში შარშან მეორედ ჩამოწოლილი მეწყერის შედეგების ლიკვიდაციისა და მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების პრევენციის ფარგლებში განხორციელდა. გზა გაიწმინდა ჩამოწოლილი მასებისგან, დამონტაჟდა წყალგამტარი მილი, გამაგრდა 150 მეტრი სიგრძის მიწის ვაკისი, მოეწყო 700 მეტრი სიგრძის დამცავი ჯებირი; ხეობაში მდებარე ჰესის დასაცავად, 90 მეტრის მანძილზე შეიცვლა მდინარის კალაპოტი. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, მიმდებარე გზა და დარიალის მამათა მონასტერი დაცული იქნება თერგის ადიდებისგან. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 1 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა. სამუშაოებზე 100 ადამიანი იყო დასაქმებული.

## ნაძალადევში გზები გაკეთდება

**ნაძალადევის** რაიონში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 3 ქუჩაზე სრულდება. 5000 კვადრატულ მეტრ ფართობზე გზის საფარი დაიგო სტურუას ქუჩაზე, სადაც სარემონტო სამუშაოები 40 წელზე მეტია, არ ჩატარებულა.

პარალელურად ასფალტის დაგება მიმდინარეობს ურეკის ქუჩის 3000-მდე კვადრატული მეტრის ფართობზე, გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციებიც. რეაბილიტაცია ჩაუტარდა გლინკას ქუჩაზე არსებულ ტროტუარებსაც (1300კვმ). მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ზაზა გაბუნიამ დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემებით, ნაძალადევის რაიონში ასფალტის სარემონტო სამუშაოები დაახლოებით 70 000 კვადრატულ მეტრზე შესრულდა.

## განახლებული ღვინის აღმართი

**დედაქალაქის** ისტორიულ ნაწილში, ღვინის აღმართზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. თბილისის განვითარების ფონდის მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობებს რესტავრაცია-რეაბილიტაცია უტარდება.

კეთილმოეწყობა შიდა ეზოები და მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა – თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა უკვე დაასრულა ღვინის აღმართზე არსებული ქვაფენილის დემონტაჟი და ამჟამად ბაზალტის ახალი ქვაფენილის დაგება მიმდინარეობს. პროექტი, როგორც საავტომობილო გზის, ასევე საფეხმავლო ბილიკების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2 200 მ$^2$-ს მოიცავს. ღვინის აღმართზე მდებარე შენობა-ნაგებობების სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი დეკემბრის ბოლოს, ნაწილი კი 2016 წლის მარტში დასრულდება. გზის სავალი ნაწილი სრულ ექსპლუატაციაში თვის ბოლოს შევა.

ინტერპრესი

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს "ელმავალმშენებელი" 2015 წლის 23 ოქტომბრიდან აცხადებს აუქციონს ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის შესახებ.

**ლოტი №1 – სპილენძის ჯართი:**

**სუფთა ჯართი** – სავარაუდოდ 11 600 კგ. - საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 50 166.52 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**მაღალი ძაბვის სადენები** – სავარაუდოდ 6 200 კგ. - საწყისი სააუქციონო ფასი 43%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 15 283.62 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**დაბალი ძაბვის სადენები** – სავარაუდოთ 3 800 კგ. - საწყისი სააუქციონო ფასი 60%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 6 573.62 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**კოჭები, სექციები, კოლექტორები** – სავარაუდოთ 21 000 კგ. - საწყისი სააუქციონო ფასი 18%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 74 472.3 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს "ბე", რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან, ლოტის №1 სავარაუდო საერთო საწყისი ღირებულების, 146 496.06 დოლარი (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე, 10% - 14 649.61 დოლარი (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account:** Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account:** სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22, სს "ელმავალმშენებელი", მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და "ბე" არ დაუბრუნდება.

ფერადი ლითონის ჯართის გადაწონვა განხორციელდება სს "ელმავალმშენებელის" ჯართის საწყობის სასწორზე.

***ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:***

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმი დღეების გარდა, $10^{00}$ – დან $15^{00}$ – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2015 წლის 29 ოქტომბერს $15^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

***აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:***

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

***გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:***

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 93 922 802, 5 77 003 707, 265 31 42, 265 33 77

**სს „ელმავალმშენებელის" მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

◎ ჭადრაკი

# „ნონამ“ მეხუთეც მოიგო




**ესპანეთში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც კვლავ უდანაკარგოდ მეწინავეობს შარშანდელი მსგავსი ტურნირის გამარჯვებული ბათუმის „ნონა“.** ეტყობა, ზღვისპირელებს წლეულსაც ვერავინ შეეცილება პირველობას. მეხუთე ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა ჰოლანდიის „დე სტუკენაგერსი“ 3.5:0.5 დაამარცხეს. ნიდერლანდელთა ღირსებას იცავს ამ ქვეყანაში გათხოვილი ქართველი დიდოსტატი თეა ლანჩავა. ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებს ის ნახევარი ქულა სწორედ თეამ მოუტანა — ლელა ჯავახიშვილს დაუზავდა. ნანა ძაგნიძემ თეთრებით ანე ჰაასტს მოუგო, ბელა ხოტენაშვილმა და ნინო ბაციაშვილმა შავებით, შესაბამისად, ბიანკა დე იონგ გურენი და ლინდა იაპ თიენ სანი დაჯაბნეს.

**მეხუთე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:** „გამბიტი“ (მაკედონია) — „ნაშე ნასლედიე“ (რუსეთი) 3:1, „იუგრა“ (რუსეთი) — „სანკტ-პეტერბურგი“ (რუსეთი) 3.5:0.5, „ბოსა ნოვა“ (ბელარუსი) — „ოსლო“ (ნორვეგია) 4:0, „მიდლენდი“ (ინგლისი) — „ჩირკოლო“ (იტალია) 2:2, „ჰერცლია“ (ისრაელი)-„რიშონი“ (ისრაელი) 1.5:2.5.

**ხუთი ტურის შემდეგ:** „ნონა“ — 10 (16,0), „გამბიტი“ — 8 (15.5), „იუგრა“ — 7 (12.5), „ბოსა ნოვა“ — 6 (10.5), „ნაშე ნასლედიე“-5 (10.5), „ჩირკოლო“-5 (10.0), „დე სტუკენაგერსი“ — 4 (8.5), „რიშონი“ — 4 (8.5), „სანკტ-პეტერბურგი“ — 4 (8.5), „მიდლენდი“ — 3 (7.5), „ოსლო“ — 3 (5.0), „ჰერცლია“ — 1 (7.0) ქულა.

ვაჟებში 5 ტურის შემდეგ 10 ქულით რუსეთის „სიბირი“ ლიდერობს. რვა გუნდს 8-8 ქულა აქვს. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით მეორე-მესამე ადგილებს ჩეხეთის „ნოვი ბორი“ და აზერბაიჯანის „სოკარი“ ინაწილებენ.

**ლაშა დიდია**

◎ ქერის ორმო

# „რეალი“ და რონალდუ - ფეხბურთში ყველაზე ძვირად ღირებული ბრენდები

**ფეხბურთში 2015 წლის ყველაზე ძვირადღირებულ ბრენდთა შორის მადრიდის „რეალი“ და მისი პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ ლიდერობენ.**

ჟურნალ Forbes-ის მიერ შედგენილ მსოფლიოს ძვირადღირებულ სპორტულ კლუბთა ათეულს სათავეში ბეისბოლის კლუბი „ნიუ იორკ იანკიზი“ უდგას, რომლის ღირებულება 661 მილიონ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზე საკალათბურთო კლუბი „ლოს ანჯელეს ლეიკერზია“ (521), ხოლო მესამეზე — ამერიკული ფეხბურთის წარმომადგენელი „დალას კოვბოიზი“ (497).

ყველაზე ძვირადღირებული საფეხბურთო ბრენდი მადრიდის „რეალი“ საერთო სიაში მეხუთე ადგილზე იმყოფება. „სამეფო კლუბი“ 464 მილიონ დოლარადაა შეფასებული. ათეულში კიდევ სამი საფეხბურთო გრანდია: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (446), „ბარსელონა“ (437) და მიუნხენის „ბაიერნი“ (375).

სპორტსმენთა შორის ლიდერი ამერიკელი გოლფის მოთამაშე ტაიგერ ვუდსია, რომელსაც გამოცემა 30 მილიონად აფასებს. მეორე ადგილზე სპორტის ამავე სახეობის წარმომადგენელი ფილ მიკელსონია (28), მესამე-მეოთხე პოზიციას კი 27-27 მილიონით „კლივლენდის“ კალათბურთელი ლებრონ ჯეიმსი და შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი იყოფენ. ფეხბურთელთაგან ათეულის ერთადერთი წარმომადგენელი კრიშტიანუ რონალდუ 16 მილიონით მერვეა.

**სპორტულ კლუბთა საუკეთესო ათეული:**

„ნიუ იორკ იანკიზი“ (აშშ, ბეისბოლი) — 661 მილიონი დოლარი, „ლოს ანჯელეს ლეიკერზი“ (აშშ, კალათბურთი) — 521, „დალას კოვბოიზი“ (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) — 497, „ნიუ ინგლენდ პეტრიოტზი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) — 465, „რეალი“ (ესპანეთი, ფეხბურთი) — 464, „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი, ფეხბურთი) — 446, „ბარსელონა“ (ესპანეთი, ფეხბურთი) — 437, „ბაიერნი“ (გერმანია, ფეხბურთი) — 375, „ლოს ანჯელეს დოჯერზი“ (აშშ, ბეისბოლი) — 373, „ნიუ იორკ ნიქსი“ (აშშ, კალათბურთი) — 361.



**სპორტსმენთა საუკეთესო ათეული:**

ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი) — 30 მილიონი დოლარი, ფილ მიკელსონი (აშშ, გოლფი) — 28, ლებრონ ჯეიმსი (აშშ, კალათბურთი) — 27, როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი) — 27, მაჰენდრა სინგჰ დონი (ინდოეთი, კრიკეტი) — 21, უსეინ ბოლტი (იამაიკა, მძლეოსნობა) — 18, კევინ დურანტი (აშშ, კალათბურთი) — 18, კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია, ფეხბურთი) — 16, რორი მაკილროი (ჩრდილოეთ ირლანდია, გოლფი) — 12, ფლოიდ მეივეზერი (აშშ, კრივი) — 11,5.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ავტოსპორტი

# „მაკლარენი“ „ჰონდას“ განახლებული ძრავით კმაყოფილია

**„ჰონდას“ ფორმულა 1-ის პროგრამის შეფი იასუჰისა არაი ამბობს, რომ „მაკლარენი“ კმაყოფილია ძრავის სრულყოფის პროცესით. იაპონურმა კომპანიამ თავის პარტნიორს სოჭის რბოლაში განახლებული აგრეგატი მიაწოდა, რომელმაც უოკინგელთა კმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, აგრეგატის მთავარ პრობლემად კვლავაც რჩება აღდგენილი ენერგიის გამოყენება.**

„ჰონდას“ თავკაცი დასძენს, რომ ამ ყველაფერს ოსტინის რბოლაში ისიც დაემატება, რომ „მაკლარენი“ ავტომობილს ახალ აეროდინამიკურ ელემენტებს დაუყენებს. ამასთან, არაი ამბობს, რომ დარჩენილ რბოლებში „ჰონდას“ მთავარი ამოცანა შიდაწვის ძრავის სარბოლო რეჟიმში მუშაობის დროს მონაცემების მიღება და მათი ანალიზია.

„გუნდმა დაგვიდასტურა, რომ ძრავის სრულყოფის პროცესი სწორი გზით მიმდინარეობს. ასე რომ, დარჩენილ რბოლებში მუშაობას სწორედ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ. ძალიან საინტერესოა, ეს ყველაფერი როგორ ეფექტს მოგვცემს, როცა მანქანას განახლებული აეროდინამიკური პაკეტით აღვჭურვავთ“, — ამბობს არაი.

სოჭში „მაკლარენის“ ორივე პილოტმა რბოლა ქულებით დაასრულა, თუმცა, მოგვიანებით ფერნანდო ალონსომ ჯარიმის გამო მე-10 ადგილი დაკარგა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ჯენსონ ბატონმა ფინიშის ხაზი მეცხრემ გადაკვეთა.

**კობა კობახიძე**



◎ ხათაბალა

# ოქრიაშვილს მართვის მოწმობა ჩამოართვეს



**საქართველოს ნაკრებისა და „გენკის“ ნახევარმცველს თორნიკე ოქრიაშვილს მორიგი უსიამოვნება შეემთხვა. ბელგიური გამოცემა voetbalkrant-ი იუწყება, რომ ქართველი ფეხბურთელი სამართალდამცავებმა ავტომანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვის გამო გააჩერეს.**

23 წლის ლეგიონერი ავტომანქანას 188 კმ/სთ სიჩქარით ატარებდა, როდესაც მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე მოცემულ ადგილას 90 კმ/სთ სიჩქარეა. თორნიკეს მართვის მოწმობა ერთი თვით ჩამოართვეს და 300 ევროთი დააჯარიმეს.

ოქრიაშვილს მიმდინარე სეზონში „გენკის“ ძირითადში მოხვედრა უჭირს. მან ბელგიის მიმდინარე ჩემპიონატში 8 შეხვედრა ჩაატარა, საიდანაც სასტარტოში მხოლოდ 3 მატჩი დაიწყო. ქართველ ნახევარმცველს უკანასკნელ სამი ტურში საერთოდ არ უთამაშია.

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# ნერეიდა რონალდუს ვერ ივიწყებს

**ესპანელი მოდელი ნერეიდა გალიარდო ფეხბურთის მოყვარულებს უპირველეს ყოვლისა იმით გაახსენდებათ, რომ ეს ქალი თავის დროზე მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი შემტევის კრიშტიანუ რონალდუს გულის სწორი იყო და მათი წყვილი მაშინ საკმაო სკანდალურობითაც გამოირჩეოდა.**

ნერეიდასა და რონალდუს ურთიერთობებს სკანდალური შტრიხები დღემდე გასდევს თან, რადგან ნერეიდა გალიარდო კრიშტიანუს არ ეშვება და როდესაც კი საამისო დროს ნახავს ხოლმე, ჟურნალისტებთან მუდამ რონალდუს მანკიერ მხარეებზე საუბრობს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ გალიარდოს ნამეტნავად ატკინა გული კრიშტიანუსთან განშორებამ.

ამას წინათ ესპანელმა მოდელმა ირინა შეიკთან დაშორებაში დამნაშავედ მთლიანად „რეალის“ ფეხბურთელი დაასახელა და განაცხადა, რონალდუსთანა პრანჭია და საკუთარ თავზე შეყვარებული კაცი ირინასთანა ცეცხლოვანი ქალის ღირსი არ არისო. როგორც ძველები იტყოდნენ, “ვინ რისი ღირსია, ეგ გრამაფონშია“...

**როსტომ რაჭველიშვილი**



№200. შაბათი, 24 ოქტომბერი, 2015 წელი.

# ექიმთან მიღებაზე

## ალექსანდრე მაკედონელი

**შეუძლებელია დაიჯერო, რომ ალექსანდრე მაკედონელმა სულ 32 წელი იცოცხლა. მან ხომ იმ მომენტისათვის თითქმის ყველა ცნობილი ქვეყანა დაიპყრო და ყველა ხალხი ერთ სამეფოში გააერთიანა. რისგან გარდაიცვალა ეს დიდი ადამიანი?**

### ნადიმი მომავალი ლაშქრობის აღსანიშნავად

**ალექსანდრე რეგულარულად ღებულობდა ჭრილობებს, მას კეფის დახურული ტრავმაც კი ჰქონდა მიღებული. 31 წლისა ის სერიოზულად დაიჭრა გულმკერდის არეში. მაგრამ მხედართმთავარი მცირე ყურადღებას უთმობდა თავის ჯანმრთელობას, სამაგიეროდ, უყვარდა დალევა — სვამდა, თუმცა არახშირად, მაგრამ ბევრს.** დალეულის ოდენობა, რასაც მზრუნველად იწერდნენ კარის მსახურები, გაოცებს: ზოგჯერ ეს იყო 12 პინტი გაუზავებელი ღვინო (მაკედონელები მხოლოდ ასეთს სვამდნენ) — ეს დაახლოებით 7 ლიტრია. თავისი გარდაცვალების წელს ალექსანდრეს გაჭიანურებული დეპრესია აწუხებდა — არც ისე დიდი ხნის წინათ დაიღუპა მისი მეგობარი.

იმავე წლის მაისში გაიმართა გრანდიოზული ნადიმი, რომელიც მომავალ სამხედრო ლაშქრობას ეძღვნებოდა, — ასეთი ტრადიცია იყო. ალექსანდრემ კვლავ ბევრი დალია, ცოტა ხნის შემდეგ კი დაიწყო ჩივილი მწვავე ტკივილის შესახებ კუჭქვეშა მიდამოებში. თვითმხილველთა სიტყვებით, ეს მალარიის მძიმე შეტევას ჰგავდა. მთელი ორი კვირა, რაც გარდაცვალებამდე რჩებოდა, მეფის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, ის ახლობლებსაც ველარ ცნობდა, ბოდავდა... უკანასკნელ დღეებში უკვე აღარ შეეძლო მოძრაობა, მაგრამ როდესაც ჯარებმა სრული დუმილით ჩაიარეს მისი საწოლის მახლობლად, ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრემ გაახილა თვალები და მზერით დაემშვიდობა ყველას.

### დიაგნოზების რიგები

**მკურნალობას მაკედონიის სამეფოში ნიშნავდა თავად მეფე. გადმოცემით, სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე მან უბრძანა მკურნალს მოეხარშა რაღაც ბალახი, რათა მოესწრო**



**განკურნება დანიშნულ ლაშქრობამდე. როდესაც მეფე უარესად გახდა, ექიმებმა დაიწყეს მისთვის რაღაც ბალახის მიცემა თაფლთან ერთად. შესაძლებელია, სწორედ ამ შხამიანმა ბალახმა მოახდინა მისი გარდაცვალების პროვოცირება.**

არის აგრეთვე ვარაუდი სენის ინფექციური ბუნების შესახებ, თუმცა სარდლის გარემოცვა იმ მომენტში არაფრით იყო ავად. მაგრამ არის ინფექციები, მაგალითად, მუცლის ტიფი, რომლებიც ეპიდემიებს არ იწვევენ.

განიხილებოდა აგრეთვე მავნე ნივთიერებებით მოწამვლის ვერსია. იმ დროს წითელ ღვინოში კონსერვაციისათვის უმატებდნენ მეთანოლს — შხამიან სპირტს, ჭურჭელი კი ტყვიისა იყო, რითაც ასევე შეიძლება მოიწამლო. მაგრამ ის ფაქტი, რომ დაავადება მოულოდნელად გაჩნდა და აშკარად იყო დაკავშირებული ალკოჰოლურ გავლენასთან, რომ მეფე განიცდიდა უძლიერეს გარდამავალ ტკივილებს მუცელში, რაც მას აიძულებდა ეყვირა, რომ მას აწუხებდა ციებ-ცხელება და ჟრჟოლა და მან მთლიანად თქვა უარი საჭმელზე, დღევანდელ მედიკოსებს აძლევს შესაძლებლობას ივარაუდონ კუჭ-ნაწლავთა პერფორაცია.

### თანამედროვე მიდგომა

**ნაწლავის კედლის პერფორაცია (გახვრეტა) ნაწლავის შემადგენლობის გამოსვლით მუცლის ღრუში — მძიმე მდგომარეობაა, რომლის გართულებასაც პერიტონიტი — ანთება წარმოადგენს. აუცილებელია ავადმყოფის რაც შეიძლება სწრაფი ოპერაცია.**

ამჟამად ქირურგიული ჩარევა ხდება ლაპაროსკოპიულად საერთო ნარკოზის ქვეშ. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი ღებულობს ტკივილგამაყუჩებელ, ანთების საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიულ თერაპიას.

კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის ფუნქციის აღდგენისათვის იყენებენ სიმპატიკური ნერვული სისტემის ბლოკადას, პაციენტს უნიშნავენ ენტერალურ კვებას — ზონდის ან ოყნის მეშვეობით... თუ ოპერაცია დროულად გაკეთდა, პროგნოზი კეთილსასურველია.

### ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

**გვარი, სახელი, მამის სახელი: ალექსანდრე მაკედონელი**
**დიაგნოზი: თხელი კუჭ-ნაწლავის პერფორაცია ინფექციული დაავადების შედეგად (?)**
**საქმიანობა: მაკედონიის მეფე, მხედართმთავარი**
**დაბადების თარიღი: 356 წელი ჩვენს ერამდე**
**გარდაცვალების თარიღი: 323 წელი ჩვენს ერამდე**

## ზიგმუნდ ფროიდი

**ფსიქოანალიზის თეორიის სახელგანთქმული ავტორი სანიმუშო მეოჯახე იყო, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარდა წყნარი საღამოები თვინიერი ცოლის მარტას და ექვსი შვილის გარემოცვაში. სწორედ ოჯახი დაეხმარა მას დიდხანს გაეძლო სასიკვდილო ავადმყოფობისათვის.**

### 20 სიგარა დღეში

**ზიგმუნდმა მოწევა 23 წლის ასაკში დაიწყო თავისი მამის მიბაძვით. პირველი მსოფლიო ომის წლებშიც კი, როდესაც ვენა შიმშილის ზღვარზე ბალანსირებდა, სიგარეტები მისთვის პრიორიტეტული შენაძენი იყო. შემოსავლის ზრდასთან ერთად ფროიდმა დაიწყო ძვირფასი სიგარების მოწევა — 20 ცალი ყოველდღიურად.** მისი პაციენტები აღნიშნავდნენ, რომ თამბაქოს კვამლის გამო კაბინეტში სუნთქვაც შეუძლებელი იყო, ისინი მუდმივად ახველებდნენ და აცემინებდნენ. ამ დროს ფროიდმა აუცილებლად იცოდა თამბაქოს მავნეობის შესახებ, ვინაიდან იმ დროის ევროპამ უკვე იცოდა მოწევის შედეგების შესახებ, ფსიქოანალიტიკოსი კი ყოველთვის ადევნებდა თვალყურს ახალ ამბებს როგორც პოლიტიკაში, ისე მედიცინაში.

38 წლის ექიმმა ფროიდმა იგრძნო, რომ მას უკვე უჭირდა სუნთქვა, მას ერღვეოდა გულისცემა... მაგრამ მოწევისთვის მას თავი არ დაუნებებია. 54 წლის ასაკში იქუხა მეხმა: ზედა სასაზე ექიმმა ერთბაშად აღმოაჩინა მტკივნეული სიმსივნე. ფროიდმა შეამცირა პაციენტების ოდენობა, მთავარ ყურადღებას მოსწავლეებთან მეცადინეობას უთმობდა. თუმცა თავის ყოველდღიურ 20 სიგარას კვლავ ეწეოდა.

67 წლისათვის ავადმყოფობამ დაიწყო საგრძნობი უსიამოვნებების მიყენება, და მეცნიერმა ექიმებს მიმართა. სიმსივნე სასაზე მას ადგილობრივი ნარკოზის ქვეშ მოაშორეს. ქსოვილების ჰისტოლოგიურმა გამოკვლევამ საშუალება მისცა ექიმებს დაესვათ „კარცინომის“ დიაგნოზი, თუმცა ეს მათ ფროიდს დაუმალეს.

### წამებანი და ნებაყოფლობითი წასვლა

**ოპერაციის შემდეგ საჭირო იყო სიმსივნის ადგილის დასხივება. უკვე იყო აღმოჩენილი რენტგენოლოგიური სხივები და რადიუმი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა მკურნალობის ეს ეტაპი. მის შემდეგ ტოქსიკური ეფექტი იყო ძალიან ძლიერი.**

ახალი წარმონაქმნის ზრდის შენელება ვერ შეძლეს და 1932 წელს ექიმებმა ორ ეტაპად გააკეთეს რადიკალური ოპერაცია. საერთო ნარკოზი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული, ამიტომ ფროიდს ტკივილებს უყუჩებდნენ ადგილობრივი ანესთეზიის წყალობით მორფინის მაღალი დოზებით. თავდაპირველად მას მოაშორეს ყბისქვეშა ჯირკვლები, შემდეგ ზედა ყბა და სასა დაზიანებულ მხარეს. მოუწიათ მოემზადებინათ სპეციალური პროთეზი, რათა გამოეყოთ ერთმანეთისგან პირისა და ცხვირის ღრუები. პროთეზი მოუხერხებელი აღმოჩნდა, მუდმივად აღიზიანებდა მახლობელ ქსოვილებს. პრობლემატური გახდა მოწევა, მაგრამ ფროიდი სარეცხის სამაგრის (ე.წ. „შპილკის“) საშუალებით აშორებდა ერთმანეთს ყბებს.

კიდევ 16 წელი ებრძოდა მეცნიერი ავადმყოფობას, მას სიმსივნის ამოკვეთის რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს, ბევრი ამოწვა. სიცოცხლის ბოლო წლებში ტკივილი მუდმივი იყო — და პირის ღრუს ყოველ რამდენიმე საათში ასხურებდნენ მორფიუმის ხსნარს. დაბოლოს, გაწამებულმა სთხოვა თავის ექიმს მაქს შურს გაეკეთებინა მისთვის სასიკვდილო ინიექცია. ეს უახლეს ისტორიაში ევთანაზიის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო.

### თანამედროვე მიდგომა

**სასის კიბოს დროს მკურნალობის მეთოდის შერჩევა დაავადების სტადიაზეა დამოკიდებული. ყველაზე ხშირად თავდაპირველად აკეთებენ სიმსივნისა და მახლობელი ლიმფოუზების ამოღების ოპერაციას.** ვრცელი ძვლის დეფექტს,



რაც გარდაუვალია, ფარავენ რეკონსტრუქციული ქირურგიის დახმარებით. შემდეგ ახორციელებენ სხივურ თერაპიას, ახდენენ ზემოქმედებას ქსოვილზე რენტგენის მაღალაქტიური სხივებითა და რადიაციული გამოსხივებით. აწარმოებენ ასევე ქიმიოთერაპიას: ცისტატური პრეპარატების დახმარებით აუვნებლებენ მუტირებულ უჯრედებს.

პროგნოზი, მთლიანად, სასიკეთოა. ექიმისათვის თავისდროული მიმართვის დროს გადარჩენა 80 პროცენტს შეადგენს.

### ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

**გვარი, სახელი, მამის სახელი: ზიგმუნდ ფროიდი**
**დიაგნოზი: სასის კიბო**
**საქმიანობა: ფსიქიატრი**
**დაბადების თარიღი: 1856 წელი**
**გარდაცვალების თარიღი: 1939 წელი.**

## გახსენება

# ოლია სამხარაძე



ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, **ოლიკო!** უკურნებელმა სენმა სრულიად ახალგაზრდა გამოგვაცალა შენი თავი.

თითქოს ყველაფრის მოსწრება გსურდა და ხალისობდი კიდეც ამით დედასთან, მეუღლესთან, ძმასთან, სიძე-ქალიშვილთან, ორ შვილიშვილთან ერთად. თითქოს ბედნიერი ოჯახი გყავდა და მოულოდნელად ყველა ძაძებით შეიმოსა. დრო ყველაფრის მკურნალიაო, ნათქვამია, მაგრამ გარდა იმ სენისა, რომელმაც შენი თავი წაგვართვა და გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვა. პატარა ელენესა და მიშიკოსთვის სულ ახალგაზრდა ბებოდ დარჩები, შვილისთვის და მეუღლისთვის ერთგულ დედად და თანამეცხედრედ, დედისთვის მუდამ პატარა გოგოდ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, რომელიც მარადიულ ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

**გულმოკლული ოჯახის წევრები**

## სანთელი

# შალვა ჩირაძის გახსენება



არიან და წარსულშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც უხმაუროდ, უბრალოდ მიჰყვებიან ამ ცხოვრების უზომოდ დაკლაკნილ გზას და ყოველმხრივ ცდილობენ, მხოლოდ კეთილი საქმეები აკეთონ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა შალვა ჩირაძე, რომელიც არა მარტო საზოგადო საქმეებით იყო დაკავებული (იგი სიცოცხლის ბოლო ოცი წელი იყო „სოიუზპეჩატის“ სააგენტოს თბილისის ორჯონიკიძის (ამჟამად ვაკე-საბურთალოს) რაიონის საწარმოო უბნის უფროსი), არამედ დიდი ღვაწლი მიუძღვოდა თავისი უმცროსი და-ძმის აღზრდაშიც.

შალვა იყო არაერთი პიესის, მოთხრობისა და ლექსთა კრებულის ავტორი. „ვითომ პოეტს“ უწოდებდა თავის თავს, „ჩემს ჭიას ვახარებო“, იტყოდა ხოლმე. სულ ახალგაზრდა იყო, როდესაც ტყიბულის (მაშინ იქ მუშაობდა) მაღაროელთა კლუბის სცენაზე მისი პირველი პიესა დაიდგა — „ჩემი ახირებული მეზობელი“ — ასე ერქვა პიესას (ხომ მართლაც არსებობენ ასეთი მეზობლები?!...). პირველი პიესის წარმატებული დადგმით მოგვრილმა სიხარულმა სტიმული მისცა წერა განეგრძო. ზოგი მისი პიესა მოძმე რესპუბლიკების სახელმწიფო თეატრების სცენაზეც იდგმებოდა. მასში ასახული იყო იმ დროისათვის ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანის შინაგანი თავისებები, მისწრაფებები.

აღსანიშნავია შალვას პოეტური ქმნილებები. იგი გულწრფელად უმღეროდა ჩვენს თანამედროვეობას, სამშობლოს, ადამიანთა ღირსებას, სიყვარულსა და მეგობრობას:

**„ეს სიყვარული რომ არა,**
**ეს ერთგულება რომ არა,**
**ვერ ვუმღერებდი შენს წარსულს,**
**შენს აწმყოსა და მომავალს“.**

რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი დედისადმი მიძღვნილ ლექსში:

**„შენმა სამარემ გამახსენა**
**შენი ნანითა...**
**ო, იმ ნანინამ**
**ყველაფერი ამატანინა!...“**

როგორი პატივისცემითა და მოკრძალებითაა გამსჭვალული ლექსი „ბერიკაცები“:

**„სხედან ჩეროში**
**ერთ დროს მძიმე**
**უღლის გამწევნი;**
**გულს იოხებენ**
**მოგონებით ბერიკაცები,**
**ასჯერ მონაყოლს**
**ასმეორედ ისევ ყვებიან**
**და შორს გაფრენილ**
**სიჭაბუკეს ეფერებიან...“**

რაოდენ დიდი ტკივილია გადმოცემული ილიასადმი მიძღვნილ ლექსში „წიწამური“:

**„სულ გლოვაა,**
**მთები ცრემლებს ღვრიან, —**
**წიწამური ჭრილობაა ღია!...“**

ამ პატარა წერილით მინდოდა გამეხსენებინა აწ უკვე მარადისობაში გარდასული ჩემი უსაყვარლესი ძმა შალვა.

**ნინო**

**საერთაშორისო ფორუმი**

# „მწვანე დღეები საქართველოში“

## ეროვნული ბოტანიკური ბაღი ფრანგ პრინცესას სტუმრობს

**ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში სტუმრობდა საქართველოს და მრავალი საინტერესო მოგონება დაგვიტოვა, თბილისში ყოფნისას აღფრთოვანებულია მშვენიერი ბაღებით, მათ შორის უპირატესობას სამეფო ბაღს ანიჭებს, რომელიც, მისი გადმოცემით მცირე ხეხილიანია, სამაგიეროდ, იმისთანა ხეებით ყოფილა სავსე, რომლებიც ბაღს ჩრდილსა და სიგრილეს არ აკლებდა. სწორედ ეს ბაღი წარმოადგენდა წინამორბედს თბილისის ბოტანიკური ბაღისას, რომელიც ამჟამად საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღად იწოდება და 380-წლიან იუბილესაც სულ მალე აღნიშნავს.**

თუ არ ჩავთვლით ჰეკატესა და მედეას ულამაზესსა და უმდიდრეს ბაღს უძველეს კოლხეთში და ბოტანიკური ბაღების ისტორიას 1309 წლიდან დავიწყებთ, როდესაც იტალიის ქალაქ სალერნოში ევროპის პირველი ბოტანიკური ბაღი დაარსდა, მაშინ თბილისის ბოტანიკური ბაღიც ევროპაში ერთ-ერთ უძველესად ჩაითვლება.

არცაა გასაკვირი, რომ დღეს თბილისი საქართველოს ლანდშაფტის არქიტექტორთა ასოციაცია „GALA“-სა და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით საერთაშორისო ფორუმს მასპინძლობს, რომელსაც საპატიო სტუმრად ეწვევა საფრანგეთის ბაღებისა და პარკების ფონდის ვიცე-პრეზიდენტი, პრინცესა **მარი-სოლ დე ლა ტურ დ'ოვენი.** საპატიო სტუმარი თბილისში არქიტექტორთა ასოციაცია – „GALA“-ს დამფუძნებლისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დოქტორის ქალბატონ **თინათინ ხიმშიაშვილის** მოწვევით იმყოფება.

ფორუმი ერთ დღეს გასტანს. რამდენიმე ცნობილი სახე გვეწვევა უცხოეთიდან. როგორც საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორმა, ქალბატონმა **ნინო გოცაძემ** აღნიშნა, დიდი პატივია ჩვენი ქვეყნისთვის ისეთი სახელგანთქმული პიროვნებების სტუმრობა ამგვარ ფორუმზე, როგორებიც გახლავთ ქალბატონი **ელენე მარკიტანტოვა** – ტრიუმფ-ლანდშაფტის დამფუძნებელი, ბაღების დიზაინერი, რომელსაც ევროპისა და დიდი ბრიტანეთის მასშტაბებით არაერთი პროექტები აქვს განხორციელებული; **ელენე ბელოვა,** რომელიც რუსეთის დიზაინერთა კავშირის წევრია და კურატორობს ვიზუალური ხელოვნების სტუდია „პლენერს“.

ქალბატონი **მარინა შიმანსკაია,** რომელიც მსოფლიოში განთქმული სანკტ-პეტერბურგის მცენარეების სანერგის „ალექსანდროვსკი სად“-ის წარმომადგენელია.



რაც შეეხება პრინცესა მარი-სოლ დ'ოვენის, იგი შვიდი წელია, საფრანგეთის ბაღებისა და პარკების ვიცე-პრეზიდენტია, რომლის მისია გახლავთ ისტორიული და ბოტანიკური ბაღების რესტავრაცია, შენარჩუნება და დაცვა. ამასთან ერთად, საბაღე-საპარკე ხელოვნების პოპულარიზაცია. 2010 წლიდან პრინცესა გახლავთ რუსეთის საიმპერატორო ბაღების მიერ ორგანიზებული ფესტივალების ჟიურის უცვლელი წევრი.

როგორც ქალბატონმა ნინო გოცაძემ გვამცნო, ფორუმი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული ბოტანიკური ბაღისთვის დონორების მოზიდვას და დაფინანსებას. პრინცესა მარი აქტიურადაა ჩართული საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოების საქმიანობაში. სწორედ მისი ძალისხმევით ამერიკელმა არაკომერციულმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ გამოყო სახსრები ფრანგული და ამერიკული არქიტექტურის, ბაღებისა და ლანდშაფტური მემკვიდრეობის დაცვისთვის. ამ ფორუმზე პრინცესა მარი-სოლი შემოგვთავაზებს მოხსენებას ისტორიული ბაღების განვითარება-შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

ფორუმის დევიზია **„მწვანე დღეები თბილისში“.**

დღესვე ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მოეწყობა ოთახის მცენარეთა გამოფენა, კვირას კი – გამოფენა-გაყიდვა.

**მამუკა ვაშაკიძე**



**სურათზე: პრინცესა მარი-სოლი; ქალბატონი თინათინ ხიმშიაშვილი კოლეგებთან (მარჯვნივ).**

## ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი – მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

## რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

29 3-37-87

მაჩაბლის ქ. №7.

**კადრი**



**ცინცხალი ანეკდოტები**

– **რომელი** ცხოველი გინდა გახდე შემდგომ ცხოვრებაში? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– ალბათ... ძაღლი...

– ესე იგი, არაფრის შეცვლა არ გსურს?

* * *

– **ბიჭი** გოგოს წინ მუხლებზე დაეცემა და ეკითხება:

– გამომყვები ცოლად?

– გამოგყვები, გამოგყვები. ადექი, ნუ დასვარე ჩვენი შარვალი...



* * *

– **ბევრი** მარტოხელა მამაკაცი ოცნებობს ლამაზ, ჭკვიან და მზრუნველ ცოლზე.

– მრავალი დაქორწინებულიც იმავეს ნატრობს.

* * *

**მამაკაცებს** არ ძალუძთ ნამდვილი ტკივილის გაგება. მათ არ იციან, რაოდენ გაუსაძლისია იმის შეგრძნება, რომ შენ, ქალმა, გადაწყვიტე არ უპასუხო მამაკაცის ტექსტურ შეტყობინებებს, ის კი ამ მესიჯებს... არც გწერს!

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ზოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე